



କବିତାକୁଳ

(LE CAUCASE)

დამოუკიდებელი ეროვნული აზრის იდენტო

L'adresse de l'administration : 73, rue Froidevaux, Paris (14^e).

Nº 4-11

၁၃၆၀၇၂ 1938.

Nº 4-11

៩ ០ ៦ ១ ១ ៦ ៦ ០ :

ჰაიდარ ბაშატი — მენშევიკების მემორანდუმი იტალიისადმი.

ვლ. ახმეტელი — გერმანია - ავსტრიის გაერთიანება

გრ. დიასამიძე — ისტორიული საკუპნაო

ქართველი მენშევიკების მემორანდუმი. —

კავკასია და თურქეთი

ენრიკო ინსაბატო — თურქო - თათრული გამოლვიძება

დ. სალირაშვილი — ჩვენი მტრის მტერი—ჩვენი მეგობარი-მოკავშირეა

ვლ. ემუსვარი — ჩემს ბრალმდებელთ

8. კედია — ქართველ ნაციონალისტთა შეცოდებანი

ს. ურუშაძე — კონფედერაცია და მსგავსი კავშირები

დ. ახვლედიანი — 1924 წლის ჩხარის აჯანყება

დ. ჭიაბრიშვილი — ბ-ნ ალ. ასათიანს ლია ბარათი
მ. ნ. 1

თატმანის ქაჯი — იუბილე (ლექსი)

წერილი რედაქციის მიმართ
1/1 2/2 3/3 4/4

ქართული პროცესი ბრიუსელში

მეცნიერებების მემკვიდრეობა იტალიის საქან

უურნალ „კორიერე დიპლომატიკო ე კონსოლარე“-ეს რედაქციის თავაზიანობის წყალობით ჩვენ ხელთ არის იმ მემორანდუმის ასლი, რომელიც საქართველოს ყოფილ მარქსისტულმა მთავრობამ იტალიის მთავრობას წარუდგინა, ჩვენი კორესპონდენტის ცნობით რომში. ასეთივე ექსპოზე გაგზავნილია აგრეთვე ბერლინში, ტოკიოში და ვარშავაში.

ამ მემორანდუმს მკითხველი ამავე ნომერში გაეცნობა. ქართველ მენშევიკების დიპლომატიური შემოქმედების ნაყოფს „კავკასია და ოსმალეთი“ ეწოდება და მთლიანად ოსმალეთ კავკასიის დამოკიდებულებისადმი არის მიძღვნილი.

საჭირო არ არის, რომ ჩვენი უურნალის ფურცლებზედ, სადაც ამ- დენი რამ თქმულა ამ პრობლემის შესახებ, ისეთ საკინძ გახსნილი მენ- შევიკური პამფლეტის დაწვრილებით განხილვას შეუდგეთ, რომელიც ყველაზედ ნაკლებ დიპლომატიურ დოკუმენტ მოგვაგონებს.

ეს თავიდან ბოლომდე ცრუ და ტენდენციური დოკუმენტი აშენე- ბულია მხოლოდ იმ გარემოებაზედ, რომ კავკასიის უახლოეს ისტორიას დიპლომატიურ კანცელარიები სრულიად არ იცნობენ.

თუ როგორ ეპყრობა ყოფილი მენშევიკური მთავრობა ისტორიულ ფაქტებს, საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა წარბ შეუხრელად სწერენ მემორანდუმის ავტორები, რომ 1919 წელს „ენვერ ფეშის ჯარმა მესო- პოტამიის ფრონტი დასტოვა, შეესია კავკასიას და სომხეთს, აზერბე- ჯანს და მთელ სამუსულმანო საქართველოს ანექსია უყო“ვო.


მართლა ესე სწერია შავად თეთრზედ, რომ თურმე ნუ იტყვით, ან- ექსია უყო.

მემორანდუმი ბოლშევიკების საქართველოში შემოსევის ამბავზედ ლაპარაკობს და იმეორებს არა მარტო უორდანიას მიერ „ყველა სოცია- ლისტურ პარტიებისა და ორგანიზაციებისადმი“ დაგზავნილ მიმართვის ვერსიას, ვითომც ოსმალეთმა „ზურგიდგან ხანჯალი ჩასცა“ საქართ- ველოს (იხ. „კავკაზი“ ნომ. 1—49, იანვარი 1938 წ.) არამედ უფრო შორს მიღის და სიმართლეს უბოდიშოთ ამახინჯებს.

ამ ახალი მენშევიკური დოკუმენტის მიხედვით გამოდის, რომ „იმ დროს, როცა საქართველოს ჯარმა სატახტო ქალაქი დასცალა და დას- ავლეთ საქართველოსკენ იწევდა, რათა იგი თავის ოპერაციების ბაზად გაეხადა რუსების წინააღმდეგ“, თურქებმა მუხანათურად საქართვე- ლოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება დაიწყეს, „ქართველ ჯარს ზუ- რგიდან დაჰკრეს და ბათუმი დაიპყრეს“ო.

ბათუმის დასახსნელად, საქართველოს მთავრობა იძულებული გა- მხდარა თურმე ბოლშევიკური ფრონტიდგან ჯარი მოეხსნა. „ქართული ჯარი იძულებული იყო ამ ქალაქის დასახმარებლად გაშურებულიყო, განდევნა აგრესორი და კუთხე ქართველ ერს შეუნახა“ო.

მართალი ამბავი ბათუმის შესახებ სამი თვის წინედ ამ უურნალში დაიბეჭდა. იგი გვიამბო ყველაზედ უფრო კვალითიციურმა ადამიენშია ამ საკითხში: საქართველოს ჯარის ყოფილმა მთავარსარდალმა. გენ გ. კვინიტაძის მიერ აღნიშნულ ფაქტებს შემდეგ ბევრი სხვა მოწმობაც მი- ემატა. დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ამ საკითხის გასაშუქებლად დღე- ვანდელი თურქული ფრაქიის გენერალ გუბერნატორის, გენერალ ქია- ზიმ დირიქის ჩვენებას, რომელიც მაშინ თურქეთის დიდი ეროვნული ყრილობის წარმომადგენელი იყო საქართველოს მთავრობის წინაშე (ქიაზიმ - ბეი.) დიდათ საყურადღებო იქნებოდა აგრეთვე სხვა უცხო



დიპლომატების მოგონებები, რომლებიც მაშინ საქართველოსთან იყვანიდნენ მივლენილი. მათ შორის ირიცხებოდა იტალიის გუშინდელი ელჩი პარიზში ბ. ჩერუტტი. მთელი გზა ტფილისიდგან ქუთაისამდის და ქუთაისიდგან ბათუმამდის მან საქართველოს მთავრობასთან ერთად განვლოდა გემშიაც მასთან ერთად ჩაჯდა.

შესაძლებელია, რომ ნამდვილი ვითარება იმისა თუ როგორ „შეუნარჩუნა“ უორდანიას მთავრობამ ბათუმი... ბოლშევიკებს, პატივცემულმა იტალიის ელჩმა არ იცოდეს. ბ. უორდანიამ დაუმალა ქუთაისის ხელშეკრულება ბოლშევიკებთან არა მარტო უცხო დიპლომატებს, არამედ თავისი მთავრობის ზოგიერთ წევრსაც. ასე, მაგალითად, არსებობს საფუძველი ვითიქროთ, რომ ამის შესახებ და აგრეთვე იმ მოლაპარაკებაზედ თურქებთან, რომელიც წინ უსწრებდა ბათუმის თურქებზედ გადაცემას, არაფერი იცოდა ბ. ევ. გეგეჭკორმაც (გარეშე საქმეთა მინისტრმა!), რომელიც ის იყო ევროპიდგან დაბრუნდა...


მაგრამ საქართველოს მთავრობას არვითარი საბუთი არა ჰქონდა, რომ დიპლომატიური კორპუსის წინაშე, რომელიც მასთან იყო გამწერებული, დაემალა თუ „საქართველოს ჯარი — მისი ბრძანებით — როგორ ეკვეთა ბათუმს და განდევნა იქიდან აგრესორი“. ასეთი ამბავის დამალვა, თუ კი მას ადგილი ჰქონდა, შეუძლო იყო...

საყურადღებო იქნებოდა გამორკვეულიყო თუ რა იცის საქართველოს სოციალისტური მთავრობის ასეთ ძველ საქმეზედ დიდათ პატივცემულმა ბ. ჩერუტიმ.

**

საჯახირო ამოცანა, რომელიც მემორანდუმის ავტორებს დაუსახავთ, მდგომარეობს იმაში, რათა დააჯერონ იტალიის მთავრობა, რომ „თურქეთი მუდამ ებრძოდა კავკასიის ერთა სოლიდარობას და დამოუკიდებლობას“, ვინაიდგან ყველა რეუიმების დროს იგი განიცდიდა მხოლოდ რუსეთის ტერიტორიალური მეზობლობის წყურვილსო.

ისტორიკო-გეოგრაფიულის განკვრეტით ეს დებულება იმდენად აბსურდულია, რომ მასზედ შეჩერებაც კი მეტია. არსებობს ფართე ლიტერატურა და მრავალი ოფიციალური დოკუმენტი, რომლებიც გაუბათილებელი საბუთებით გვიმტკიცებენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება თურქეთის უშუალო გავლენის შედეგი იყო. საქართველოს სოციალ დემოკრატიული პარტიამ, რომელიც რუსეთის ადმინისტრაციასთან ხელი ხელ ჩაკიდებული ებრძოდა ყოველნაირ დეცენტრალისტურ მოძრაობას კავკასიაში, ყოველივე ილონა, რომ რუსეთთან პოლიტიკური კავშირი არ გაეწყვიტა. ამისი განსაკუთრებული „ღვაწლი“, მის ლიდერს ნოე უორდანიას მიეწერება. სწორედ უორდანია იყო, რომ, როცა თურქეთის ულტიმატუმით იძულებულმა საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ, ხმის უმეტესობით, დამოუკიდებლობის აზრი გაიზიარა, მომხდარი „კატასტროფის“ გამო მან და ირ. წერეთელ-



მა ლენინს მელოდრამატიული დეპეშა გაუგზავნეს. საყურადღებო იქნებოდა, რომ ამ დეპეშის ნამდვილ ტექსტს საზოგადოებაც გასცნობოდა. მაგრამ გაბედავს კი ბ. უორდანია მის გამოქვეყნებას?...

უველა სალი გონიერის და მინიმალური ისტორიული კულტურის მქონე მეთვალყურისათვის ნათელია, რომ თურქეთი ორასი წლის განმავლობაში რუსული დამოკლეს მახვილის ქვეშ მცხოვრები, მხოლოდ უნდა ოცნებობდეს, რომ რუსეთის სამზღვრები როგორმე შორს გადაიდოს მისი საზღვრებიდგან.

მაგრამ იყო თურქეთის ისტორიაში ერთი განსაკუთრებული წუთი, როდესაც მას მართლა სურდა, რომ რუსეთთან საერთო საზღვარი ჰქონდა და საამისო ზომაც მიიღო.

ეს იყო 1919 — 20 წ., როცა პოლიტიკური ვითარების მესაჭედ კავკასიაში, ოსმალეთისადმი მტრულად განწყობილი ევროპის სახელმწიფონი შეიქმნენ, როცა თურქეთის ეროვნული მოძრაობის მეთაურს ქართველი მინისტრები ბანდიტს უწოდებდნენ, როცა აზერბაიჯანის მუსავატური მთავრობა ინგლისზედ „ორიენტაციობდა“, — ხოლო სომხეთი ფიქრობდა რომ იყო დიდი სახელმწიფო „ზღვიდგან ზღვამდის“... ამ დროს იყო რომ რუსეთმა გაუწოდა ხელი თურქეთის განმათავისუფლებელ ბრძოლას... (რა თქმა უნდა არა თურქების ლამაზი თვალების გამო. მაგრამ ეს უკვე სხვა ამბავია.)

კავკასიის პატრიოტებმა ეს პრეცედენტი არასოდეს არ უნდა დაივიწყონ. აქედან უნდა გამოიტანონ მათ თავისი მაცხონებელი გაკვეთალიც. მათ უნდა ერთხელ და სამუდამოთ ჩაიჭრიონ გონიერაში, რომ კავკასიელ ერთა ორიენტაციის ყოველი ცდა ისეთ ძალებზედ, რომლებიც ოსმალეთთან მტრულად იქნებიან განწყობილნი, მუდამ და უნებურად გამოიწვევს ოსმალეთის დაახლოვებას რუსეთთან.

ამიტომ ჩვენთვის აუცილებელია ფრთხილად და ეჭვის თვალით მოვეპყრათ ყოველ ისეთ პოლიტიკურ მიმღინარეობას, რომელიც კავკასიის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ორ ფრონტზე ქადაგებს. ეს არ უნდა იყოს ქამანდი, რომ გადამწყვეტ წუთში, ოსმალეთისაგან „თავის ხსნა“ ისტორიულის წაბაძულობით, ისევ რუსეთის ხელით არ მოხდეს...

რა აიძულებს — კითხულობს ბ-ნი ე. ინსაბატო — დემო-სოციალ მასონებს, რომ „ფაშისტური“ მთავრობანი თურქეთის წინააღმდეგ მომართონ და ცბიერად არწმუნონ ისინი, თითქოს ქემალისტური რესპუბლიკის პოლიტიკა მიზნად ისახავდეს „რუსეთთან ტერიტორიალური მეზობლობის შენარჩუნებას, რათა ხელი შეუშალოს კავკასიის ერთა სოლიდარობას და დამოუკიდებლობას, რის გამოც, როგორც ამისი დასკვნა, კავკასიის თავისუფლებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭირო ყოფილა თურქეთის აქტივობის პარალიზაცია? სხვა სიტყვებით რომ ითქვას, საჭირო ყოფილა, რომ რათა ბოლშევიზმი ძლეული იყოს და საქართველო არ არსებული საფრთხისაგან ხსნილი (რომელიც, ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელია აცილებული ყოფილიყო თურქეთ-

თან წინასწარი და პატიოსანი შეთანხმებით) გერმანიამ, იტალიამ, იმპერიამ და პოლონეთმა, ქართველი მენშევიკების აზრით, ყოველივე კავშირი უნდა მოსპონ ანგორასთან, რაიცა, რა თქმა უნდა, გამოიწვევდა იმას, რომ თურქეთი ისევ ბოლშევიზმის კავშირში ჩარჩებოდა, ან სულ ცოტა, დაუახლოვდებოდა ეგრედ წოდებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებს, რომლებიც ამასთანავე მნიშვნელოვან კრედიტებს უხსნიან მას "ო..."

„თავის თავად ცხადია — განაგრძობს ბატონი ინსაბატო — თუ კი სახალხო ფრონტში მყოფი მენშევიკები შესძლებდნენ და ხელს შეუშლიდნენ თურქებს, რომ ისინი არ გაუერთიანდნენ იმ დირქეჭივებს, რომლებმაც იტალო - გერმანო - იაპონიის შეთანხმება შეჰქმნეს, რუსეთი — და არა მარტო ის — სავსებით კმაყოფილი იქნებოდა. ნუ თუ ამას ესწრაფვიან ხსენებული მენშევიკები და მათი მფარველები" ი.

გამოცდილი პოლიტიკოსი და გამჭვრიატი პუბლიცისტი, ჩვენი მეგობარი საკითხს სწორედ აყენებს. და ამაზედ ორი პასუხი შეუძლებელია.

საქართველოს მარქსისტული მთავრობა, მეორე ინტერნაციონალის წევრი, როგორც ცნობილია აღტაცებით შეხვდა „საერთო ფრონტის“ შექმნას. მთელი მისი მოღვაწეობა ეგრედ წოდებულ „დემოკრატიულ“ ქვეყნებში, ყოველი გამოსვლა საერთაშორისო საზოგადოებებში, რომლებიც ერთა ლიგასთან არიან გადაბმული, მთელი პროპაგანდა მათგან გამოშვებული ბეჭდვითი სიტყვისა იყო და არის გაუღენთილი ფაშიზმის სიძულვილით და იმ სახელმწიფოებისადმი, რომლებიც ჰეშმარიტად ებრძვიან მსოფლიო კომუნიზმს.

დიდი ხანი არ არის, რაც ამ ფურცლებზედ ჩვენ მოგვყავდა ნიშანდობლივი ფაქტები იმისა, თუ როგორ ილაშქრებდნენ მენშევიკური მთავრობის კვალიფიციური წარმომადგენლები იაპონიისა და ეროვნული ისპანიის წინააღმდეგ. წარსულშიაც ჩვენ არა ერთხელ დაგვიგმია მათი პროპაგანდა მუსოლინის იტალიისა, პიტლერის გერმანიისა და ათათურქის თურქეთის წინააღმდეგ.

მართალია, ქართველი მენშევიკების მეთაურობა პოლიტიკურ მოლვაწეთა ისეთ კატეგორიას ეკუთვნის, რომლებსაც ასეთი მცირე რამით წარბს ვერ შეუხრი.

პირველად არ არის, რომ უშუალოდ და წაყენებული პირების სახით, ისინი სცდილობენ, რომ როგორმე შეძვრენ ისეთ მთავრობათა დერეფანში, რომლებსაც ასე დიდი ხანია, რომ თავზედ ლაფს ასხავენ.

რა პირობებში შეკეცავენ, მართლა, თავის დაძველებულ დროშას და უღალატებენ იმ იდეას, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ემსახურებოდნენ და რომელი შემთხვევისათვისა აქვთ აგრეთვე შემონახული თავისი დივერსიული გეგმები, მათი მფარველების, ორივე ინტერნაციონალისაგან ნაკარნახევი, მუდამ ადვილი გამოსაცნობი არ არის.

მაგრამ ამ შემთხვევაში, მათი დიპლომატიური გამოსვლა რომში, რომელიც აზრათ ისახავს, რომ იტალია ოსმალეთის წინააღმდეგ უგუნე-



ბოთ დააყენოს და ბინძური კამპანია პრესაში და საჯარო მიტინგებზე და რომელიც ამ უამაღ მენშევიკები ქართულ ეროვნულ ემიგრაციის ზოგ წრეში აწარმოებენ, რათა გაალვიძონ ანტითურქული გრძნობები, მეტის მეტად საეჭვოდ უახლოვდება რუს-თურქულ დამოკიდებულებათა შეგრილებას და სისხლიან პროცესების ტალღას კავკასიაში.

ბ-ნ ე. ინსაბატოს საკითხი: კუი პროდესტ? — ჩვენც მოგვდის ფიქრად.

ჰაიდარ ბაშმატ



გერმანია — ავსტრიის გაერთიანება

ქართველი ერის უდიდესი მოამაგე, ბრძენი ილია სწერდა: თვითეული ერის ისტორია მხოლოდ და მხოლოდ გულისა და სულის მოძრაობაა. იგი სარკეა, რომელიც მას ანიჭებს ძალას, უთითებს საშუალებებზე, რომლის მეოხებითაც ესა თუ ის ხალხი უნდა აღორძინდეს, განმტკიცდეს და გაიზარდოს. ერის უდიდესი და საუკეთესო ბელადი ის არის, ვინც ხალხის გულიდან ლრმა სურვილებს ამოიკითხავს, ამოკითხულს თავის დროს იტყვის და განახორციელებს კიდეცო.

ის რაც გერმანია - ავსტრიის ხალხისათვის საუკუნეთა განმავლობაში საოცნებო - სანეტარო საგანი იყო, სულისა და გულის უძვირფასეს განძს შეადგენდა — დღეს აღოლფ ჰიტლერის მეოხებით, უმტკივნეულოდ, წვეთი სისხლის დაუქცევლად და ისტორიაში არ გაგონილი სიხარულით და უჩვეულო ენტუზიაზმით განხორციელდა; უდიდესი სურვილი საქმეთ იქცა! და ამ ორი სახელმწიფოს, ანუ სწორედ რომ ესთქვათ, ერთი ერის გაერთიანებას ისეთი მტკიცე საძირკველი ჩაეყარა, დუღაბით ისეთი კედლები ამოუშენდა, რომ მისი დაშლა - დანგრევა არავითარ ძალას აღარ შეუძლიან.

გერმანია - ავსტრიის სახელმწიფოს ისტორიის ვრცელი ფურცლების შლას არ შეუდგებით. მას მეტად გრძელი და რთული წარსული აქვს და იგი საკუთარი კვლევისა და ძიების საგანია. ჩვენ მხოლოდ გაკვრით შევეხებით მათი წარსული მოძრაობის სათავეს და შემდეგ განვითარებას.

გერმანიის ხალხის შინაგანი წყობა - ურთიერთობა, მისი შინაგანი ისტორია 2 — 4 საუკუნემდის თითქმის უცნობი იყო. მხოლოდ მესამე საუკუნიდან იწყება გერმანელთა ზოგიერთი მოზრდილ ტომთა მოძრაობა, მათი ისტორიაში თვალსაჩინოთ გამოჩენა. ამ ტომთა გამრავლებამ, მცხოვრებთა რაოდენობის ზრდამ იძულებული გახდა უდაბური ტყეები გაეჩეხათ, გასადევარი გაეფართოვებინათ; მრავალი ტბები-ჭაობები გადაელახათ და ამ გზით გერმანელთა მრავალი ტომები გაეერთიანებინათ. გაერთიანებულ გამრავლებული გერმანელი ტომები ხან

აღმოსავლეთისაკენ და ხან დასავლეთისაკენ მიიწევდენ ახალი პდგრ-ლებისა და მიდამოების შესაძენად. მალე ეს გამრავლებული ტომები კვლავ ორ დიდ ტომად დაიყო: აღმოსავლეთ და დასევლეთ გერმანელებათ. დასავლეთ გერმანელების ტომები ალამანების სახელწოდებით უმთავრესად დასავლეთისაკენ იწევდნენ, მდინარე რეინის სამხრეთ და-სავლეთ მიდამოებს იჭერდნენ და აქედან ბატონობდნენ შინაურ და უცხო ტომებზე.

აღმოსავლეთ გერმანელები ტომთა რაოდენობით დასავლეთ გერმანელებზე რიცხვით უფრო მრავალი და ძლიერები იყვნენ. ესენი უძველეს დროს სკანდინავიაში ბინადრობდნენ. სკანდინავია იყო მათი პირველი სამშობლო. მხოლოდ ტაციტის დროს სცხოვრობდენ ვეიხსელის მიდამოებში. აქედანაც აყრა მოუხდათ: სლოვიანთ მრავალი ტომები მოაწვნენ და აღმოსავლეთ გერმანელები იძულებული იყვნენ სამხრეთისაკენ დაეხიათ და მთელი მათი ტომები მდ. დონაუს მიმართულებით წასულიყვნენ და მესამე საუკუნეში შავი ზღვის ნაპირამდინაც კი გაიშალნენ.

მალე აქაც აღმოსავლეთ გერმანელებს სლოვიანებზე უფრო ძლიერმა მტერმა შემოუტია. 370 წ. მდ. ვოლგის სამხრეთით თავი მოიყარა თურანის ველურმა, ჯოგათ მავალმა ტომებმა ჰუნების სახელწოდებით, რომლებმაც მთელი ახლო მიდამოები ცეცხლსა და მახვილს მისცეს. ეს დაუნდობელი და მხეცური სიმკაცრით აღჭურვილი ტომები შემდეგ საუკუნოებში დასავლეთისკენ დაიძრენ და დუნაის მიდამოებში მაცხოვრებელ აღმოსავლელ გერმანელებს საბუდარი - საბუნავო მთლად აუშალეს. ახლა აღმოსავლეთ გერმანელებს პირი კვლავ დასავლეთისაკენ აქნევინეს და აღმოსავლეთისაკენ წინსვლისა და მიწოლის კარები დაუხშეს. ჰუნების მიერ შეწუხებული გერმანელები, როგორც უკვე ეს ვს-თქვით, დასავლეთისაკენ დაიწყებენ დენას და ხშირად აღმოსავლეთ გერმანელების ბატონობა, შემდეგ საუკუნოებში, თითქმის მთელი რომაელების სახელმწიფოებზე ვრცელდებოდა.

დასავლეთ სამხრეთით დახეულმა აღმოსავლეთ გერმანელებმა ხანგრძლივ დროთა მსვლელობაში ძლიერი სახელმწიფო შეკვეთის და მათი მეფე - მართველები დიდი ძლევა მოსილობით იყვნენ აღჭურვილნი. ამათი მეფეები წვრილ-წვრილ სამთავროებს იმორჩილებდნენ და მეფის თუ კეიჩერის უფლებები ფართოვდებოდა. აღმოსავლეთ გერმანიის ტომებიდან უკვე 1278 წ. წარმოიშვა ძლიერი ავსტრიის ჰაბსბურგის დინასტია, რომელიც 1918 წლამდის არსებობდა.


როგორც თავში გაკვრით უკვე აღვნიშნეთ, თავიდანვე გერმანული მრავალი ტომები ერთად შედუღებას, ერთად შეკავშირებას ერთ დიდ სახელმწიფოდ ვერ ახერხებდნენ. ჩვეულებრივ და უმთავრესად გარეშე მტერთა მოწოლის მეოხებით ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში პატარ-პატარა სამეფო სამთავროებათ იყოფოდნენ და დიდი გერმანეთის, მთლიანი, ერთიანი გერმანიის სახელმწიფო არ იქმნებოდა. დიდი ერი, ერთი ენით, ერთი შინაგანი წესით, ერთიანი სულიერი კულტუ-



რით ხშირად ერთი მეორეს ებრძოდა. ასეთი დაქსაქსულობით მოიტანეს თავიანთი თავი მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდის. მხოლოდ დიდი ბისმარკის მეოხებით გერმანეთის სხვა და სხვა სამეფოებისა და სამთავროების გაერთიანება 1871 წ. მოხდა და შეიქმნა დიდი გერმანეთის საცეზარო ანუ საკაიზერო სახელმწიფო. დარჩა გაუერთიანებელი და შემოუერთებელი ავსტრიის გერმანია. თვით ფრიდრიხი დიდიც ცდილობდა ავსტრიის შემოერთებას. არც ბისმარკს განელებია ამის სურვილი, მაგრამ დრო და გარემოება, უმთავრესად კი გარეშე ძალთა სურვილი-ინტერესები ამის საშვალებას არ აძლევდა. აქ რასაკვირველია არ უნდა დავივიწყოთ დინასტიური ქიშპობაც. ჰაბსბურგის დინასტიაც მომაკვდავივით ებლაუჭებოდა თავის არსებობას და გერმანეთთან გაერთიანებას არა სცდილობდა. ამ შემთხვევაში ჰაბსბურგის დინასტია გარეშე ძალებთან თითქოს შეთანხმებულად მოქმედობდა და გაერთიანების საქმეს ხელს უშლიდა.

როცა ამ გარემოებას ოდნავ მაინც ვაკვირდებით, ჩვენდა უნებლიერ, აზრში გენასკვება ჩვენი ერის წარსული მდგომარეობა; ჩვენი წარსული მდგომარეობის ნათესაობა გერმანიის მდგომარეობასთან. ჩვენშიც დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის ვრცელი მთლიანი საქართველო გარეში მტრის მეოხებით — უმთავრესად ასმალეთის წყალობით პატარ-პატარა სახელმწიფოდ და წვრილ სამთავროებად დაიყო. სწორედ იქიდან დაიწყო, როგორც ილია ამბობდა ჩვენი დასუსტება და გადაშენება. თვით ერეკლე მეფემ — ამ სახელგანთქმულმა პატარა კახმა, ვერ შესძლო ძველი მთლიანი საქართველოს გაერთიანება. გაერთიანებულ ქართლ-კახეთმა ერეკლეს მეოხებით ვერ შესძლო დასავლეთ აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება. ჩვენდა საბედნიეროთ, აქვე უნდა აღინიშნოს, ერთი გარემოება: თუ კი ავსტრიაში ჰაბსბურგის დინასტიური მიკერძოებითი ინტერესები გერმანიის გაერთინებას ხშირად ხელს უშლიდნენ, ჩვენში წინააღმდეგ. დასავლეთ საქართველოს მეფე მთავრები, განსაკუთრებით იმერეთის მეფე, მეფე ერეკლეს დროს დიდათ მოწადინებული იყო მთელი საქართველოს გაერთიანების და ტფილისში მომხდარ ყრილობაზე მედგრად მოითხოვდნენ მთელი საქართველოს გაერთიანებას მეფე ერეკლეს მთარველობის ქვეშ. მაგრამ აქაც გარეშე მტრების ბილწმა განზრახვებმა, განსაკუთრებით ასმალეთის მუხანათობამ ხელი შეუშალა მცხოვან მეფეს. ვთიქრობთ გაერთიანებული სქართველოს ბედი მაშინ სულ სხვანაირად დატრიალდებოდა და რუსეთისაკენ საბედისწეროთ პირს არ ვიბრუნებდით!

დაუბრუნდეთ ისევ გერმანია ავსტრიის გაერთიანებას. ის რაც ვერ მოახერხეს ფრიდრიხის დიდმა და რკინის კანცლერმა ბისმარკმა — ის რაც ამ ორმა დიდმა აღამიანმა ვერ შესძლო — გარეშე მძიმე პირობების დაძლევა, მოახერხა პიტლერის მესამე სახელმწიფომ სულ სამი დღის განმავლობაში ერთი დარტყმით — ქვეყნიერების გასაოცებლად ავსტრია გერმანიას შეუერთა და შეკვენა დიდი გერმანეთი ჰაბსბურგიდან ვენამდის. შეკვენა უძლიერესი დიდი სახელმწიფო 75 მილიონიანი მც



ხოვრებით. აქ გარეშე ძალის ბოროტი განზრახვები ერთის დაქროლით განიავდა და ერთხელ და სამუდამოთ ქარს ჩალასავით გაჰყვა.

ვერსალის ზავმა თვით გერმანიას მარცხნივ და მარჯვნივ წმინდა გერმნელებით დასახლებული ადგილები ჩამოაჭრა; მილიონობით გერმანელებით დასახლებული ადგილები და სხვადასხვა სახელმწიფოებს მიაკერა და ეს დიდი ერი ჩაჭერა მეტად ვიწრო ზღუდეებში. თვით ახლად წარმოშობილ ჩეხო-სლოვაკების სახელმწიფო სამ მილიონ ნახევარი წმინდა გერმანელები ქვეშევრდომებათ გაუხადეს. არა ნაკლებ უდიერობით მოეპყრენ ვერსალის ზავის შემთხვეველები ავსტრიას. ოდესლაც დიდი ავსტრო-უნგრეთი შუაზე გააპეს და პირველი აუტანელ პირობებში ჩააყენეს. ვერსალის ზავმა ავსტრია რახიტულ სახელმწიფოდ გადააქცია. დედა ქალაქი ვენა თავის მცხოვრებით თითქმის სახელმწიფოს ნახევარი იყო; თავი დიდი და ტანი და ფეხები წვრილი. შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ მთელი სახელმწიფო საკოდავ მდგომარეობაში ჩავარდა და ერთ დროს შეძლებული და მდიდარი ქვეყანა სამადლოთ გახდა და გარეშე სახელმწიფოთა სუფრის ნამცეცებით იკვებებოდა.

ეჭვს გარეშეა, გერმანია - ავსტრიას მეტად ცუდი ღრო დაუდგათ. ტერიტორიალურად მიგლეჯ-მოგლეჯილი, ნივთიერად მიწასთან გასწორებულნი ვერსალის. ზავის სარეპარაციო გადასახადებით და ასე ამრიგათ დიდი ერი სულ შემსუთავ პირობებში მოემწყვდა. მაგრამ ვერსალის ზავის სიდუხჭირე სამარადისო არ გამოდგა და მისი მძიმე ულლის გადაგდება უფრო ადრე მოხდა ვიდრე მისი ავტორები წარმოიდგენდნენ. მალე, შედარებით სულ მალე, მეორე და მესამე ხარისხოვან სახელმწიფოდ გადაქცეული გერმანეთი კვლავ პირველხარისხოვან იმპერიად გადაიქცა. ძლევა მოსილი შეიქმნა მეურნეობა მრეწველობით; ინდუსტრია და სასოფლო მეურნეობაში შეიქმნა მიზანშეწონილი ურთიერთობა. დღეს გერმანიის სოფლის მეურნეობა ისე გაძლიერდა, რომ მთელი სახელმწიფოს მცხოვრებთა პურზე მოთხოვნილება საკუთარი ნაწარმოებით იფარება, რაიც, რასაკვირველია, რამდენიმე ათეული წლის წინათ დიდ ეკონომისტებს შეუძლებლად მიაჩნდათ. ასევი ითქმის თითქმის დანარჩენ სასოფლო ნაწარმოებზე. მრეწველობამ ხომ მთლად ზურგი გაიმაგრა და ძველებურად პირველობას ჩემულობს. არც თუ სამხედრო ძლიერება მეორე რიგში დაყენებული. დღეს გერმანიის სახელმწიფოს მილიტარული სიძლიერე აღარავისთვის საეჭვო აღარ არის. ამათი ძლევა მოსილება ევროპის პირველხარისხოვან სახელმწიფოებმა უკეთ იციან, ვიდრე ამ სტრიქონების დამწერმა, ამიტომაც მას უდიდეს ანგარიშს უწევენ.

ამ სახით ვერსალის ზავით ჩამოქვეითებული გერმენეთი კვლავ ფეხზე დადგა ორი ფეხით ევროპის შუა გულში დაბჯენილი! სულ ოცი წლის განმავლობაში უცხო ძალების მიერ შემოჭერილი სალტები მოიწყვიტა და კვლავ იწყო დიდი გერმანეთის შეკავშირების საქმე. ადოლფ ჰიტლერმა ჯერ ზურგი მოიმაგრა, ჯერ წელში გასწორდა და როცა ძლევა მოსილების გვირგვინი დაიდგა, მხოლოდ მაშინ იწყო გაბნე-



ულ და ჩამოშორებულ გერმანელთა ხალხების მოგროვება. ამისათვის იგი შორს არ წასულა, ოკეანები და ზღვები არ გადაულახავს, იქვე გვერდით — უკულმართი პირობების გამო ჩამოშორებული გერმანეთის ხალხის სისხლით და ხორცით, ენით და კულტურით თანაბარ-თანასწორი ავსტრიელი გერმანელები შემოიერთა. აქ არც ბოროტი მოქმედება, არც ძალმომრეობა არ არსებობს; უცხო და გარეში არ შემოუერთებიათ, არავისათვის არაფერი წაურთმევიათ და არც სხვისთვის რამე ჩამოუგლევიათ. რაც ისტორიულათ, რაც სამართლიანად მათი იყო აიღეს და მიითვისეს. დიდი ხნით დაშორებული გაყრილი ძმები შეერთდენ. და მით შეიქმნა ძლიერი გერმანეთის სახელმწიფო. გაბოროტებულ სულს და ბალლამით გატენილ გულს თუ შეუძლიან ავის და ბოროტის თქმა, თორემ ისე, კეთილსინდისიერ ადამიანს სათქმელი არაფერი აქვს. პირ იქით, ერთი სისხლ-ხორცის ძმათა გაერთიანებას უმწიკვლო ადამიანის გული სიხარულით და ნეტარებით უნდა აღევსო — სულ ერთია, ფრანგი იქნება თუ ინგლისელი, ქართველი თუ სხვა მილეთის ადამიანი!

ჩვენ კავკასიის მცხოვრებთ გერმანია - ასტრიის ხალხის სიხარულის გაგება და განცდა გვაქვს: მათი ზეიმი და საერთო ალფროთოვანება გვესმის. ჩვენც გერმანია ავსტრიასავით ბევრი რამ დაგვიკარგავს, დროთა მსვლელობაში ბევრი მოძმენი ჩამოგვშორებიან და ჩვენც იმათკენ გვიჭირავს თვალი და იმათ ჩვენსკენ. იმედია დრო დადგება და საბედნიერო ზარი ჩვენშიაც ჩამოირეკება.

გარდა ამისა, გერმანია ავსტრიის გაერთიანება ჩვენ მრავალ მილიონიან კავკასიის მცხოვრებთათვის სხვამხრივაც არის საგულისხმო. დიდმა გერმანიის სახელმწიფომ სამხრეთ ევროპაში ფეხი მტკიცედ მოკიდა; აქ მან დიდი ზღუდე ამართა და დიდი რუსეთის პანსლავური მოძრაობა, ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე გამოსვლა ქვეყნიერობის დასაქცევად, ვთიქრობთ, სამუდამოთ დაიმარხა. დიდმა გერმანიის ერმა პირი აღმოსავლეთისაკენ ქნა; გერმანელ ტომების ძველი, ისტორიული „დრანგ ნახ ასტენ“ (აღმოსავლეთისაკენ მიწოლა) კვლავ სინამდვილეთ იქცა და ამ დენის შეჩერება რუსეთის აწმყო და მომავალ მპყრობელთ აღარ შეუძლიანთ. გერმანია ავსტრიის გაერთიანება დასაწყისია ამ იდი ხალხის აღმოსავლეთით გაწევისა. რეინ—დუნაის არხის შეერთება — ფელდმარშალ გიორინგის განცხადების თანახმად, ოთხ წლიან გეგმაში შევიდა და უკვე იწყობენ საამისო მუშაობას. დასახელებულ არხის მეოხებით დიდი გერმანიის სახელმწიფო შავ ზღვაზე გამოდის და ეს კი ჩვენ, კავკასიის მცხოვრებთ ბევრ სანუგეშო იმედებს გვინერგავს.

ვლ. ახმეტელი

ისტორიული საკუთხევა

I

გერმანელმა ახალგაზრდა ისტორიკოსმა ბერტოლდ შპულერმა გამოაქვეყნა საინტერესო შრომა სათაურით „ევროპიული დიპლომატია კონსტანტინეპოლიში ბელგრადის ზავამდე (1739 წ.)“. ამ ნარკვევში მოყვანილია საგულისხმო ცნობა შესახებ ჩვენი გამოჩენილ სჯულმდებელ მეფე ვახტანგ მეექვსისა, რომელსაც ამას წინად ზურაბ ავალიშვილმა მშვენიერი ნაკვთი უძღვნა. გერმანელი მეცნიერი გვითითებს ერთ ისტორიულ ფაქტზე. 29 ნოემბერს 1722 წ. ამ ჩვენს მეფეს გაუგზავნია ორი წერილი საზღვარგარეთ: ერთი ვენაში ავსტრიის იმპერატორ კარლოს მეექვსისათვის, მეორეც კონსტანტინეპოლიში ამ მეფის რეზიდენტის იოსებ დირლინგისათვის. ამ უკანასკნელ წერილში ვახტანგი აღნიშნავს, რომ ფარულად ის კათოლიკეა. ამ წერილებში ჩვენი მეფე მოითხოვს შველას ოსმალთა წინააღმდეგ. ავსტრიის იმპერატორს საუბედუროდ, მაშინ არ სცალოდა აღმოსავლეთისათვის. მას ევროპაში მრავალი საქმე აწუხებდა. ამიტომ საქართველოს ხელმწიფის თხოვნას საჭირო შედეგი არ მოჰყვა. ამ წერილების იტალიური ტექსტი მოყვანილია რუმინელ მეცნიერ ევდოქსიოს ჰურმუზაკის ერთერთ კრებულში. საზოგადოთ რუმინელ ისტორიკოსის კრებულები შეიცავს მრავალ საბუთს და მასალებს, რომელიც ეხება არა მარტო საქართველოს, არამედ მთელ კავკასიასაც. მაგ.: არის ცნობები ჩრდილო კავკასიის მთიელების შესახებ. თუ არა ვცდებით ეს მასალა ჯერჯერობით უცნობია ქართველ და კავკასიელ მეისტორიეთათვის. აქამდის ვახტანგის და კათოლიკე მისიონერების ურთიერთობის შესახებ ის ვიცოდით, რომ ესენი მეგობრულად იყვნენ მიღებული მეფის კარზე, ხოლო არსად შეგვხვედრია ბ. შპულერის დისერტაციამდე საბუთი, რომელშიაც თვით მეფეს აღეარებინოს ცხადად თავის მიღრეკილება რომის კათოლიკე სარწმუნოებისადმი. თვით აღმოჩენილ წერილების იტალიური ტექსტი ნათლად გვიმოწმებს, რომ უმწეოდ დარჩენილი საქართველოს თვითმპყრობელი — რუსეთის მეფე პეტრე დიდისაგან მოტყუების შემდეგ — მიმართავდა ავსტრია გერმანიის იმპერატორს შველისათვის სწორედ თვით კათოლიკე მისიონერების რჩევით. კარგს იზამდნენ ჩვენი ისტორიკოსები, ყურადღებას, რომ მიაპყრობდნენ ევდ. ჰურმუზაკის მიერ შეგროვილ საბუთებს. აგრეთვე საჭიროა მოიძებნოს ხსენებულ მეფის წერილების ქართული დედანი. თუ ეს საბუთები დაკარგული არ არის, ისინი აღმოჩნდებიან ვენის ან თვით რუმინიის არქივებში. არ უნდა დაგვავიწყდეს რა როლს თამაშობდა ჩვენი თანამემამულე ანთიმოზ ივერიელი, ფრიად განსწავლული, ძველ ვლახეთში — ახლანდელ რუმინიაში. იქ მან სასულიერო და საგანმანათებლო დიდი მუშაობა გააჩალა და უცხოელობის მიუხედავად მიაღწია საეკლესიო იერარქიის უმაღლეს ხარისხს: გახდა ვლახეთის მიტროპოლიტი. დაბეჭდა უამრავი წიგნი სხვა და სხვა




ენბზე, რომლიც თვითონ იცოდა ზედმიწევნით და დააარსა მრავალი სამაგალითოდ მოწყობილი სტამბა. მას არ დავიწყებია თავის სამშობლოც. ახლა უკვე უტყუვრად დამტკიცებულია, რომ მხოლოდ მისი დახმარებით იმავე მეფე ვახტანგმა დააარსა პირველი სტამბა საქართველოში, სახელდობრ ტფილისში. ანთიმოზმა მეფეს გაუგზავნა სასტამბო მასალა, მის მიერ ვლახეთში დაბეჭდილი ქართული წიგნები და აახლა გაწვრთნილი ოსტატი - ხელოვანი მიქაელ სტეფანეს შვილი. არის უკვე საკმაო მასალა, რომელიც ნებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, რა დიდ პირვენებას წარმოადგენდა ანთიმოზ ივერიელი, მაგრამ მთლად გაშუქებული არ არის მისი ცხოვრება და მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა. ამის მასალა კი უეჭველად მოიძებნება რუმინულ არქივებში. გამოსაკვლევია აგრეთვე გვარი საქართველოში მივლენილ რუმინელ მესტამბის მოხელისა, რომელსაც ქართული ისტორიული წყაროები იხსენიებენ ვინმე სტეფანეს შვილათ. ფრიად საწყენი იქნება, თუ ყველა ამას დროზე არ მიექცა სათანადო ყურადღება. თუ ვენაში ან რუმინიაში იმყოფებიან ქართველები, ეს მათ აუცილებელ ვალს შეადგენს.

II

ჩვენი ერის წარსულში მოიპოვება ისეთი ამბები, რომელნიც გვიგტკიცებენ, რომ მის სახელმწიფოს ძველიდგანვე დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი მამაცი და მძლავრი ხალხის ქვეყნისა. თავიდანვე ჩვენი მმართველებისა ეშინოდათ. მათ პატივსა სცემდნენ და ზოგჯერ ძეგლებსაც უდგამდნენ საზღვარ გარედ. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ყოფილა. როგორც კი ჩვენი სახელმწიფო სუსტდებოდა, ჩვენს ხელმწიფებს პატივსაც უკლებდნენ. დიდი სახელი და პატივი ჰქონდათ დამსახურებული მაშინდელ მსოფლიოში მაგ. დავით ალმაშენებელს, თამარ მეფეს, თვით რუსუდან დედოფელს, ლაშა გიორგის, გიორგი ბრწყინვალეს და სხვებს. ქართველი მეფეების განსაკუთრებული წოდებულებანი ნათლად ამტკიცებდნენ მათი ქვეყნის გავლენას სხვა სახელმწიფოებსა და ხალხებზე. ასე იყო იმ დრომდე, სანამ საქართველოს მონგოლნი შემოესეოდნენ და მთლიანი ქვეყანა რამდენსამე სამეფოდ და სამთავროდ დაიშლებოდა. ჩვენი ავტორიტეტული ისტორიკოების ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე წიგნში მოყვანილია რამდენიმე საგულისხმო ცნობა აღნიშნული საგნის შესახები. ქართველ მეფეთა წოდებულების შემცირების შესახებ მონგოლთა რბევის შემდეგ, ლაპარაკობს არაბთა მწერალი შეჰებდინ ელკალკაშანდი, რომელსაც ბარონ ვ. ტიზენჰაუზენმა უძლვნა პატარა ნაკვთი, რუსულად დაწერილი. ყოველი პოლიტიკური ცვლილება, საქართველოში მომხდარი პოლიტიკურ მდგომარეობაში, მაშინვე იწვევდა ანარეკლს საზღვარგარედ ერთა შორის სფეროში. განსაკუთრებით ეს დატყო ჩვენს ქვეყანას, როცა დაარსდა გვერდით ძლევამოსილი ოსმალთა სახელმწიფო და როგორც კი დაიწყო საჩვენოში შინაური ბრძოლა. ამისდა მიუხედავად ეგვიპტესა

და პალესტინაში დიდხანს შერჩათ მაინც ის პატივი, რომელიც ძველი დანართის განვე ჰებრეუ დამსახურებული ქართველებს. მუდამ მოსაგონარს მიხეილ თამარაშვილს მოჰყავს ლათინური ტექსტი 1522 წელს დაწერილი ბართლომე სალინიაკოელის მიერ, რომლიდანაც სჩანს; რომ „გეორგიანელები (ე. ი. ქართველები) იერუსალიმში შესვლის დროს არ უხდიდნენ სულთანს გადასახადს და თავისუფლად საზეიმოდ მორთულ აქლემებსა და ცხენებზე შემსხდარნი გაფრიალებული ეროვნული დროშებით შედიოდნენ წმინდა ქალაქში.“ ივ. ჯავახიშვილს მოჰყავს კიდევ მრავალსაგულისხმო მაგალითი. იერუსალიმში ქართველ მონაზონთ შეკლავებია სომეხთა ეპისკოფოსი მარტინოსი და მოუწადინებია გოლგოთას ჩამორთმევა. ამისათვის რამდენჯერმე ეპისკოფოსი მისივე სიტყვით საჩუქრებით ჰელებია ეგვიპტეში იქაურ მოხელეებს, მაგრამ ამაოდ ყოველთვის უარი მიუღია. მოხელეებს უთქვამთ: ქართველ ბერებს ზურგს უმაგრებს მათი მეფე, რომელიც ძლვენს გარდა შეგვპირდა, რომ თავის სამეფოში მაჰმადიანებს არ შეავიწროებსო. მესამე მაგალითს წარმოადგენს განსვენებულ აკადემიკოს ნიკ. მარრის მიერ მოყვანილი ცნობა მის ანგარიშში სინას მთასა და იერუსალიმში სამეცნიერო მუშაობის შესახებ. ნიჭიერ მკვლევარს აქ აღმოუჩენია არაბული დედანი ეგვიპტის მამელუკების ბრძანებისა. ამ ბრძანების ძალით საკუთარი მოხელე იყო დანიშნული ქართველ მლოცვებისათვის. მოხელის მოვალეობას შეადგენდა ქართველ მოგზაურების დაწვედრა ალაბში (ალეპოში) წმინდა ქალაქში მიცილება და შემდეგ გამოცილება დაბრუნების დროს. სრულიად სიმართლეს ბრძანებს ჩვენი წარსულის დაუღალავი და მიუკერძველი განმმარტებელი, რომ მე-15 საუკუნეში ჩვენი ქვეყნის უკულმართობის მიზეზი იმდენად გარეშე მტერი აღარ იყო, რამდენადც შინაური ბრძოლა - დაქსაქსულობა და განკერძოება“...

გრ. დიასამიძე




ჩართველ მენავიკების მემორანული

კავკასია და თურქეთი 1)

კავკასიის მეზობლად, ორივე მხრით, იყვნენ დიდი სახელმწიფონი, რომლებსაც ერთმანეთში მუდამ ომი და მეტოქეობა ჰქონდათ: ჩრდილოეთით რუსეთი, სამხრეთით სპარსეთი და თურქეთი. პირველი დიდი სისწრაფით მიიწევდა კავკასიისკენ რათა პირდაპირი გზა გაედო თავის მეტოქე სახელმწიფოების საზღვრების შესაკრავად და დასამორჩილებლად. კავკასიის თავისუფალი ერები მათ ერთმანეთისაგან ჰყოფდნენ.

1) წინამდებარე მემორანდუმი ქართველ მენშევიკების მიერ ფრანგულ ენაზედ დაწერილი და იტალიის ფაშისტური მთავრობისათვის მო-



ისინი უკეტავდნენ გზას სამხრეთისაკენ მათში ყველაზედ უფრო ძლიერია ერ სახელმწიფოს — რუსეთს და ამრიგად იცავდნენ თავდასხმისაგან უფრო სუსტებს, როგორიც იყვნენ სპარსეთი და თურქეთი.


როგორი უნდა ყოფილიყო ასეთ ვითარებაში ამ სახელმწიფოთა პოლიტიკა კავკასიის მიმართ? სავსებით აშკარაა, რომ რუსეთის ინტერესი მოითხოვდა ამ ჯებირის მოსპობას და მის რუსულ სამხედრო ბაზად გადაქცევას, მაშინ როცა დანარჩენ ორ სახელმწიფოთ თავისი ინტერესი უკარნახებდა, რათა, კავკასიის დამოუკიდებლობა პირიქით შეენახა და განემტკიცებინა, რაიცა საუკეთესო საშვალება იქნებოდა, რომ რუსული ექსპანსიისაგან თავი დაეცვა.

მაგრამ ეს პრობლემა ვერ შეიგნო ვერც სპარსეთმა, ვერც თურქეთმა; კავკასიის მიმართ მათ აწარმოვეს ისეთივე პოლიტიკა, როგორც რუსეთმა და ეძიებდენ მის დაპყრობას.

სომხეთის გარდა, რომელიც დიდი ხანია დამორჩილებული იყო და აზერბეიჯანისა, რომელიც სპარსეთს აძლევდა ხარკს, ამიერ კავკასიაში დარჩა მხოლოდ ერთი თავისუფალი სახელმწიფო, საქართველო. ორივე სახელმწიფო, რომლებიც მანამდის მეტოქეები იყვნენ, შეერთდნენ რათა ეს უკანასკნელიც მოესპოთ. თანახმად ხელშეკრულებისა, რომელიც მათ ერთმანეთში 1635 წელს დასდეს, აღმოსავლეთ საქართველოს უდიდესი ნაწილი, ქართლი და კახეთი, სპარსეთის მიერ დამოკიდებულად გამოცხადდა. სამცხე საათაბაგო (მესხეთი) და მთელი დასავლეთი საქართველო თურქეთის პროტექტორატში მოჰყვა. ასეთი გადაწყვეტილების შემდეგ, ორივე სახელმწიფოს საქართველოს მიმართ ერთი და იგივე პოლიტიკა არ უხმარიათ. ვინაიდან სპარსეთის საზღვარი საქართველოზედ შორს იღო, სპარსეთი კმაყოფილდებოდა მხოლოდ სწორედ გამოანგარიშებული ხარკის გადახდევინებით იმ ტერიტორიაზედ, რომელზედაც მას პრეტენზია ჰქონდა. თურქეთს, პირიქით საქართველოსთან უშუალო საზღვარი ჰქონდა, რაც შემოსევის შესაძლებლობას ააღვილებდა. ამის გამო, მისი საქციელის ხაზი შემდეგი იყო: დაპ-

წიწებით მირთმეული (იხ. „მენშევიკური პროვოკაცია“ — წერილი რომიდგან. „კავკასია“ ნომ. 3—10. 1938 წ.) გამომურავნებული იყო, ფრანგულსავე ენაზედ, იტალიურ გაზეთში „კორიერე დიპლომატიკო ე კონსოლარე“ — რომელმაც უპასუხისმგებლო მენშევიკური „მემორანდუმი“ სასტიკად დაჰგმო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ამბავი არ დამართნიათ არც ერთ მემორანდუმის ავტორებს, თუმცა მემორანდუმი ჩვენს დროში მრავალი იწერება და ყველგან და ყოველთვის, ტრადიციულად, დიპლომატიურ კანცელარიების საიდუმლოდ ითვლება. მაგრამ რა არ ემართება „ქართულ“ საქმეს ევროპაში მენშევიკების გადამკიდე!... ჩვენი მკითხველები აქვე ამოიკითხავენ ბ. ენრიკო ინსაბატოს გამანადგურებელ პასუხს ამ სკანდალურ მემორანდუმზედ.

რედაქცია.



ყრობა და პროგრესიულ ანექსია ტერიტორიისა, ქართველების გამჭუ-
სულმანებით — ამ ტერიტორიაზედ. ორი საუკუნის განმავლობაში სწა-
რმოებდა ეს მუშაობა 17 და 18 ს.ს.) და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყი-
ში მის ხელში იყო საქართველოს უკვე მეოთხედი ნაწილი, სახელდობრ
კი მისი სამხრეთ დასავლეთი ნაწილი: არტაანი, მესხეთი, ოლთისი, არ-
თვინი და ბათუმი, მოსახლეობით, რომელიც ძათილ იყო გამუსულმა-
ნებული. დაიპყრა რა, ამრიგათ, საქართველოს კულტურის აკვანი —
მესხეთი, თურქეთი და მუქრა თვით საქართველოს გულს: ქართლს და
იმერეთს. ამ აღვილების ასიმილიაციის მთავარი აგენტი გახდა ახალცი-
ხის ფაშა. სწორედ ასეთმა პოლიტიკამ კავკასიის მიმართ გადასწყვიტა
სპარსეთის და თურქეთის ბედი. ყოველის მხრიდგან საფრთხეში ჩავარ-
დნილი საქრისტიანო საქართველო იძულებული შეიქმნა, თავისი ფიზი-
კური არსებობის შესანარჩუნებლად, რუსეთის პროტექტორატისათვის
მიემართნა და მისთვის თავისი საზღვარი გაეხსნა. ტფილისში ჩასახლე-
ბულმა რუსეთმა თანდათან კავკასიის სხვა და სხვა ნაწილები დაისაკუ-
თრა. რაკი სპარსეთის და თურქეთის უშუალო მეზობელი გახდა, მან
დაიწყო დაუსრულებელი ომები ამ ქვეყნებთან, რომლებიც მუდამ მის
სასარგებლოდ თავდებოდნენ.

ჩრდილო კავკასიაში ორი დამოუკიდებელი სახელმწიფო რჩებო-
და: ჩერქეზეთი და დაღესტანი. აქედგან მხოლოდ ერთი, ჩერქეზეთი იყო
თურქეთის პროტექტორატის ქვეშ, თუმცა პალმერსტონის პირით იგი
1838 წელს დამოუკიდებლად გამოცხადდა. მაგრამ თურქეთმა იგი ყი-
რიმის ომში თავის მომხრეთ ჩაითრია და როდესაც თურქულმა კოალი-
ციამ გაიმარჯვა, ჩერქეზეთის სახელი ნახსენებიც კი არ იყო პარიზში
დადებულ 1856 წლის სამშვიდობო ტრაქტატში. ამრიგად თურქეთმა
თავისი მოკავშირე რუსების გუნების ამარა დასტოვა და სანაცვლოდ
სხვა კომპენსაციები მიიღო.

რუსეთმა უდიერად გადაუხადა: ჩერქეზების თითქმის მთელი მოსა-
ხლეობა ზღვით თურქეთში იქმნა გადასახლებული. ასე დაიღუპა ჩერქე-
ზეთი და კეთილშობილი რაინდული ერი.

თურქეთის კავკასიური პოლიტიკა სავსებით ერთი და იგივე მარა-
დიული ხაზით ხასიათდება: კავკასიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლო-
ბის უარყოფით და ამ ტერიტორიების და მათზედ მოსახლე ერების გა-
მოყენებით თავისი გარდამავალი სარგებლობის ინტერესებისათვის.

შეიტანა განა რაიმე ცვლილება რეჟიმის გამოცვლამ სულთანების
ამ პოლიტიკაში? არაფერი. ეს დაგვიმტკიცა ჩვენ ახლო წარსულმა.

1917 წელს რუსეთში დიდი რევოლუცია ამოვარდა. ამიერ კავკა-
სიის სამმა ერმა შექმნა დამოუკიდებელი ფედერატიული სახელმწიფო
პარლამენტით ტფილისში. ჩრდილო კავკასიაც მალე ამ ფედერაციას
უნდა შეერთებოდა. რუსეთი კავკასიის საზღვრების გარეთ მოიქცა, რო-
მელიც ამით დაუბრუნდა იმ მდგომარეობას რაც მე-19 საუკუნემდის
არსებობდა. უნდა გვეფიქრა, რომ ენვერისა და ქემალ ფეშის თურქეთი
შეეცდებოდა ამ ახალი გარემოებით ესარგებლნა და თავისუფალი კავ-



კასიის განმტკიცებისათვის ხელი შეეწყო. მაგრამ მოხდა სრულიად წინააღმდეგო! ენვერ ფაშის არმიამ დასტოვა მესოპოტამია და მოედვა- რა კავკასიას, შეიერთა სომხეთი, აზერბეიჯანი, სრული სამუსულმანო საქართველო და ბოლოს, გერმანელების მიერ შეჩერებული, საქრისტი- ანო საქართველოს კარების წინაშე დადგა. ამ აგრესიის შედეგი ის იყო, რომ ამიერ კავკასიის ფედერაცია დაიშალა და მისი შემაღვენელი სამი ერი თავის ბედზედ დარჩნენ. დიდი ომისგან გამარჯვებული ანტანტა გამოვიდა: თურქეთი კავკასიიდგან უნდა წასულიყო; შეიქმნა სამი დამ- ოუკიდებელი სახელმწიფო: აზერბეიჯანი, საქართველო და სომხეთი. სამივე ევროპის მიერ „დე ფაქტო“ ცნობილი, ხოლო საქართველო „დე იურეც“; აღმშენებლობითი მუშაობა დაიწყო მყისვე, თუმცა ამ დროს რუსეთში სამოქალაქო ომი მრისხანებდა.

ენვერ ფაშას რეუიმი თურქეთში ქემალ ფაშის ევროპიულმა და ნაციონალურმა რეუიმმა შესცვალა. მაგრამ კავკასიურ პოლიტიკას არა- ვითარი ცვლილება არ განუცდია. 1920 წელს ანკარის ემისართა ზედგა- ვლენით, სარწმუნოებით თანამოძმე აზერბეიჯანმა კარი გაულო მოსკო- ვის ბოლშევიკურ ჯარებს; ეროვნულმა მთავრობამ წინააღმდეგობის გაუწევლად დაუთმო ხელისუფლება მოსკოვის ემისარებს და ამ რიგად, რუსეთი ხელმეორედ გახდა სპარსეთის და თურქეთის უშუალო მეზო- ბელი. აზერბეიჯანის დაცემამ გადასწყვიტა აგრეთვე სხვა რესპუბლი- კების ბედიც. 1921 წლის თებერვალში მოსკოვის ჯარები აზერბეიჯა- ნიდგან საქართველოში შემოიჭრენ. ამ საბედისწერო წუთში, იმ დროს როდესაც ტფილისის გარშემო მტრის ჯარების წინააღმდეგ ბრძოლა სწა- რმოებდა, 23 თებერვალს, მოულოდნელად, საქართველოს მთავრობამ ანკარის ულტიმატუმი მიიღო, რომელიც მოითხოვდა არტაანისა და არ- თვინის მაზრების დაუყონებლივ ევაკუაციას და პასუხის მიღებამდის თურქების ჯარები ამ ოლქებშიაც შევიდნენ.. ორ ცეცხლ შუა მომწყვ- დეულმა საქართველომ, რომელიც ფიქრობდა, რომ ყველაფრის მიუხე- დავად მთავარი ფრონტი მაინც მოსკოვის ფრონტი იყო, პროტესტი გა- ნაცხადა და ბრძანება გასცა თავის მოსაზღვრე ჯარებს, აქავე უნდა ით- ქვას ფრიად მცირე რიცხოვანს, ქვეყნის შიგნით დაეხიათ. ამით წაქეზე- ბულმა თურქეთმა ბათუმის ოლქიც დაიჭირა და, იმ დროს როცა ქარ- თულმა ჯარმა სატახტო ქალაქი დასცალა და დასავლეთ საქართველო- საკენ იხევდა, რათა იქ რუსების წინააღმდეგ ბაზა გაეჩინა, თურქები ზურგიდან ეკვეთენ მას, დაიჭირეს ბათუმი და ეს ოლქი თურქეთის მიერ შეერთებულად გამოაცხადეს. ქართული ჯარი იძულებული იყო ამ ქა- ლაქს დახმარებოდა, განედევნა აგრესორი და ეს ოლქი ქართველი ერი- სთვის შეენარჩუნებინა.

შემდგომ ცნობილი გახდა, რომ რუსეთ-საქართველოს ომის დროს ანკარის მთავრობას საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა მოსკოვის მთა- ვრობასთან, რათა ქართული ტერიტორიის შეერთების უფლება ხელთ ეგდო. ამ მოლაპარაკების შედეგი იყო თურქეთისა და მოსკოვის შორის 16 მარტს დადებული ხელშეკრულება, იმ წუთს როცა საქართველოს

ეროვნული მთავრობა ჯერ კიდევ ხელმძღვანელობდა ბრძოლას თავის ქვეყნის დასაცავად. მოსკოვმა მისცა თურქეთს ქართული ოლქები არტანი და ართვინი. ამ რიგად მოსკოვ-ანკარის ბლოკმა საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპონ და აიძულა კანონიერი მთავრობა საზღვარ გარეთ წასულიყო.

იმავე 1921 წლის 13 ოქტომბერს მოსკოვმა და ანკარამ ახალი ხელშეკრულება დასდეს თურქეთის ტერიტორიაზედ ყარკში, რომელშიც შეტანილი იყო მოსკოვის ხელშეკრულების პირველი პარაგრაფი. ამის გარდა ანკარამ იცნო ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა მოსპობა. უარს ამბობდა ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებაზედ, მათგან დადებულზედ, ან რომელშიც მათ ეხებოდა და სხვა (ხი. მუხ. 1, 2, 4, 13).

აი როგორ იბრძოდა ოსმალეთი საუკუნეთა განმავლობაში კავკასიის ერების სოლიდარობისა და დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და როგორ ამჯობინებდა რუსეთთან უშუალო მეზობლობას.

თუმცა სპარსეთს კავკასიისათვის არავითარი დახმარება არ გაუწევია, მაგრამ მას არც ტერიტორიალური მოთხოვნილების სურვილი არა აქვს; იგი თავის საზღვრებში რჩება და ანტი-კავკასიურ პოლიტიკაზედ უარს ამბობს.

ამ რიგად კავკასიის მხოლოდ ორი პრეტენდენტი ჰყავს: ერთი მხრით — რუსეთი, მეორე მხრით კავკასიის ერები. რაც შეეხება თურქეთს, წავა იგი სპარსეთის კავკასიური პოლოტიკის გზით, დაკმაყოფილდება საკუთარი საზღვრებით თუ გააგრძელებს სულთანებისაგან ნაანდერდევ პოლიტიკას? აი საკითხი, რომლის საბოლოო გადაჭრა გადაჭრიდა კავკასიის პრობლემასაც: იქნება ის თავისუფალი და დამოუკიდებელი, თუ რუსეთის ულლის ქვეშ დარჩება?



თურქი - თათრული გამოღვიძება


კუთ პროდესტ? 1) .

ჩვენა ვბეჭდავთ საფრანგეთში მცხოვრებ, ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მთავრობის „მემორანდუმს“, რომელიც გაეგზავნა ეგრედ წოდებულ ავტორიტარულ სახელმწიფოთა მთავრობების კანცელარიებს.

დასტურდება, რომ ეს მემორანდუმი შედგენილია ქართველ მეშევიკების მიერ, რომლთა მეთაური ნოე უორდანია მეორე ინტერნაციონალში შედის.

რა აიძულბს დემო-სოციალ-მასონებს, რომ „ფაშისტური“ მთავრო-

1) ეს წერილი დაიბეჭდა იმავე იტალიურ გაზეთში და არის მენშევიკური მემორანდუმის მოკლე და მკაფიო პასუხი.



ბანი თურქეთის წინააღმდეგ მომართონ და ცბიერად არწმუნონ ისინი, თითქოს ქემალისტური რესპუბლიკის პოლიტიკა მიზნად ისახავდეს — „რუსეთთან ტერიტორიალური მეზობლობის შენარჩუნებას, რათა ხელი შეუშალოს კავკასიის ერთა სოლიდარობას და დამოუკიდებლობას, რის გამო, როგორც ამისი დასკვნა, კავკასიის თავისუფლებისათვის უპირველესად ყოვლისა საჭირო ყოფილა თურმე თურქეთის აქტივობის პარალიზაცია? სხვა სიტყვებით რომ ითქვას, საჭირო ყოფილა, რომ რათა ბოლშევიზმი ძლეული იყოს და საქართველო არ არსებული საფრთხისაგან დახსნილი (რომელიც ყოველ შემთხვევაში, შესაძლებელია აცილებული ყოფილიყო თურქეთთან წინასწარი და პატიოსანი შეთანხმებით) გერმანიამ, იტალიამ, იაპონიამ და პოლონეთმა, ქართველ მენშევიკების აზრით, ყოველივე კავშირი უნდა მოსპონ ანგორასთან, რაიცა, რა თქმა უნდა, გამოიწვევდა იმას, რომ თურქეთი ისევ ბოლშევიზმის კავშირში ჩარჩებოდა, ან სულ ცოტა, დაუახლოვდებოდა ეგრედ წოდებულ დემოკრატიულ სახელმწიფოებს, რომლებიც ამასთანავე მნიშვნელოვან კრედიტებს უხსნიან მას.

თავი რომ ვანებოთ იმას, რომ ეს „მემორანდუმი“ ცბიერია ფორმით და ცრუ შინაარსით, ბუნებრივად ისმება საკითხი: კუი პროდესტ?

თავის თავად ცხადია, თუ კი სახალხო ფრონტში მყოფი მენშევიკები შესაძლებდენ და ხელს შეუშლიდნენ თურქებს, რომ ისინი არ გაუერთიანდნენ დირექტივებს, რომლებმაც იტალო - გერმანო - იაპონიის შეთანხმება შეჰქმნეს, რუსეთი — და არა მარტო ის — სავსებით კმაყოფილი იქნებოდა. ნუ თუ ამას ესწრაფვიან ხსენებული მენშევიკები და მათი მფარველები?

მაგრამ დაუბრუნდეთ „მემორანდუმს“ და განვიხილოთ ზოგიერთი მისი პუნქტი, რათა მისი წარმოშობის მიზეზები შევიგნოთ. იქ ნათქვამია, ვითომც ამიერ კავკასიის ფედერაცია ენვერ-ფაშას ჯარებს დაეშალოთ. ეტყობა ავტორებს დავიწყნიათ, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებამ თურქეთს მიანიჭა ქართული ტერიტორიები, რომლებშიც ბათუმიც შედიოდა. მართალია ქართველებმა ამაზედ პროტესტი განცხადეს, მაგრამ მართალია ისიც, რომ თურქებიც ამ ხელშეკრულების მიხედვით მოქმედობდნენ.

მაგრამ რის შესახებაც მემორანდუმი მდუმარეობს, ეს არის ის, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციისადმი თურქეთი კეთილად იყო განწყობილი

განა გარეშე საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი არ იყო, რომ რათა თურქეთსა და საქართველოს შორის გამოუსწორებელი სიძნელეები შეექმნა, მოითხოვდა ტფილისის პარლამენტში, რომ მუსულმანური ელემენტი მთავრობისა და პარლამენტისაგან განდევნილი ყოფილიყო, როგორც ელემენტი საეჭვო სოციალიზმისათვის?

მაგრამ ვსოდეთ რომ ენვერის ჯარმა მართლა შეუწყო ხელი ამიერ კავკასიის ფედერაციის დაშლას — რა უნდა ჰქონდეს ამას საერთო ქემალისტურ თურქეთთან? განა ქემალი არ იყო, როგორც კი ხელისუფლება აილო, მაშინვე წინადადებით მიმართა ქართველ მენშევიკებს,

რომ რუსული საფრთხის წინაშე ერთად ემოქმედათ? და განა მენშევი
კი ნოე რამიშვილი არ იყო, შინაგან საქმეთა და სამხედრო მინისტრი,
რომელმაც თავისი მთავრობის სახელით განაცხადა, რომ ქართველ ხა-
ლხს საერთო არაფერი სურს აჯანყებულ გენერალთან და მის ურდოე-
ბთან?

ან რატომ მოხდა რომ 1920 წელს ქართველების გამარჯვების შე-
მდეგ რუსებზედ, როდესაც განჯაში ბოლშევიკების წინააღმდეგ აჯან-
ყება ამოვარდა და აზერბეიჯანელები დახმარებას ელოდნენ, ნოე უო-
რდანიამ ბრძანება მისცა ქართულ ჯარს, რომ თავის საზღვრბზედ დარ-
ჩენილიყო, რითაც მან დაარღვია აზერბეიჯანთან დადებული ხელშე-
კრულობის პირობა?

სწორედ ამ უამად იბეჭდება პარიზულ უურნალის „კავკაზის“ ქარ-
თულ გამოცემაში საქართველოს ჯარის მთავარ-სარდლის გ. კვინიტა-
ძის ფრიად საყურადღებო წერილები.

გენერალი კვინიტაძე, მაღალი ზნეობის ადამიანი, რომლის მეგობ-
რობას ჩვენ ფრიად ვათასებთ, დიდათ საყურადღებო ფაქტებს ამჟღავ-
ნებს, ამ ქებულ მენშევიკურ მთავრობისათვის ფრიად დამახასიათებე-
ლს, რომელიც 1921 წლის 17 მარტს იტალიურ გემზედ გაიქცა, ხოლო
მეორე დღეს სრულიად დასტოვა საქართველო, რითაც უარი სთქვა უფ-
ლებაზედ, რომ საქართველოს წარმოადგენს. ამ მთავრობამ ხომ ორი-
სამი დღით ადრე გადასწყვიტა რომ ხელი აეღო ბოლშევიკებთან ბრძო-
ლაზედ და ამის გამო ერთი უცხოელი დიპლომატი, რომელსაც დღეს
მაღალი პოსტი უკავია, ამტკიცებს, რომ მენშევიკების წასვლას თვით
ლენინმა შეუწყო ხელი, რომელიც მეორე მხრით, ნოე უორდანიას წი-
ნადადებას აძლევდა არხეინად საქართვლოში დარჩენილიყო.

მაგრამ ვილაპარაკოთ რიგით. 16 მარტს 1921 წელს მთავრობამ გა-
გზავნა სამტრედიაში გრიგ. ლორთქითანიძე და გენერალი გელევანიშ-
ვილი ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლად.

17 მარტს მთავრობის ბრძანებით ბათუმის საპატიმროებიდგან გა-
მოშვებული იყვნენ ქართველი ბოლშევიკები, რომლებმაც „სამხედრო
საბჭო“ შეადგინეს. საღამო უამს კი საქართველოს მთავრობა გემში ჩა-
ჯდა — ერთი დღით ადრე: ვიდრე ეს განზრახული იყო. ამაზედ წინ
მთავრობის თავმჯდომარემ უორდანიამ მთავარ-სარდალს გენ. კვინი-
ტაძეს გამაბრუებელი ბრძანება მისცა — ბოლშევიკების წინააღმდეგ
არავითარი მოქმედება არ დაეწყო და ამის გარდა ჯარის დემობილიზა-
ციაც მოეხდინა. რატომ არ გამოაქვეყნებს „საქართველოს მთავრობა“
სამტრედიის ხელშეკრულობას?

მოვიყვანოთ კიდევ ერთი ფაქტი. „მემორანდუმში“ ნათქვამია,
რომ 23 თებერვალს 1921 წელს საქართველოს მთავრობას ანგორისგან
ულტიმატუმი მიულია ართვინისა და არდაგანის ოლქების დაუყონებ-
ლივ დაცლის შესახებ. აი რას სწერს ამის გამო გენერალი კვინიტაძე
ქართულ „კავკასიაში“ (ნომ. 8 იანვარი 1938 წ.): „1921 წლის 23 თე-
ბერვალს ამ ადგილებში არავითარი ჩვენი ჯარი არ ყოფილა და მაშასა-

დამე ვერავითარ ჯარებს მთავრობა იქიდან ვერ გამოიყვანდა. საჭიროა მთავრობამ ეს ულტიმატუმი გამოაქვეყნოს. ბ. ი. გვარამაძე, ოლქის მაშინდელი უფროსი ამტკიცებს, რომ მან მიიღო ბრძანება რათა ოლქი ისმალებისათვის ჩაეგარებინა და არა დაეცალა... ამ ულტიმატუმის წამოყენების ამბავს, მე, საქართველოს ჯარების მაშინდელი მთავარსარდალი ვტყობილობ მხოლოდ მთავრობის ამ „განმარტებიდგან“, მხოლოდ აქ, პარიზში, 1938 წელს. პირიქით, ტფილისთან ბრძოლების დროს ნოე უორდანიას მთავრობა, ყოველ დღე მარწმუნებდა მე, რომ „დღეს სალამოს“ თუ არა „ხვალ დილას“ ისმალები ბოლშევიკების წინააღმდეგ გამოვლენო... უცნაურია, რომ ასეთი არა მეგობრული აქტის შემდეგ, როგორიც იყო ულტიმატუმი არტაანისა და ართვინის გადაცემის შესახებ, ადგილი ჰქონდა არამც თუ ბათუმში ისმალეთის ჯარების შესვლის ნების დართვას, არამედ ისმალეთის წარმომადგენლის ყოფნასაც კი ჩვენი მთავრობის წინაშეო“.

ის რაც ჩვენ სახელოვან მეგობარს კვინიტაძეს უცნაური ჰქონია, ამ უამად ჩვენთვის სავსებით აშკარა აზრს ღებულობს. ამ ვაუბატონების მიზანია ხელი შეუშალონ თურქეთის რაიმე შეთანხმებას ანტიბოლშევიკურ ფრონტთან.

აი რატომა გვაქვს სრული უფლება ამ „მემორანდუმის“ გამო, რომელიც აგრეთვე ფაშისტურ მთავრობასაც წარედგინა, ვიკითხოთ: კუი პროდესტ?

ენრიკო ინსაბატო




ჩვენი მორის მტერი — ჩვენი მოკავშირეა

ჩვენი სამშობლო დღეს განიცდის ერთს უსაშინელეს და თვით მის არსებობისათვის საბედისწერო ხანას. დღეს კომუნისტური რუსეთი, წითელ ფერში გახვეული, მაჯლაჯუნასავით დასწოლია ჩვენს ეროვნულ სხეულს, ხვალ კი ადვილად შეიძლება, შავი რუსეთი მოევლინოს მას ამავე როლში. ორივე შემთხვევაში — ეს რუსული სტაკიაა, აბობოქრებულ ტალღებსავით წალეკით, რომ ემუქრება კავკასიას და კერძოთ საქართველოს. მძვინვარება ამ სტიქიისა იზრდება და გაიზრდება იმდენად, რამდენათაც ჩვენს ეროვნულ მეობას მეტი გამოხატულება, მეტი გამძლეობა დაეტყობა. ამის ნიშნებს ყოველ დღე ნათლად ვამჩნევთ, როგორც აქ, ემიგრაციაში, თუ დავაკვირდებით რუსეთის ემიგრაციას, და იქაც, ერთ უშველებელ „ყაზარმალ“ გადაქცეულ ქვეყანაში.


აი რეალური საფრთხე, რომელსაც არა თუ თვალ ხილული, არამედ ბრძანებულ ხედავს და ყრუსაც კი ესმის.

ამნაირად ჩვენი სამშობლო და მთლად კავკასია ჩაბმულია ჩრდი-



ლოეთის მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ეს ასეა დაბუჭი ნება, მიუხედავად იმისა ჩვენ ეს გვინდა თუ არა. ამ ბრძოლას თვით ჩვენი ფიზიკური არსებობის მოთხოვნილება გვიკარნახებს. ეს ბრძოლა არის და იქნება ულმობელი, დაუნდობელი, სასტიკი.

ცხადია ამ პირობებში საჭიროა ჩვენი ეროვნული სხეულის და მთლად კავკასიის ერთ სალ კლდეთ გადაქცევა, მთელი ჩვენი გულის ყურის, ჩვენი ძარღვების უკიდურესი დაჭიმვა და როგორც ერთი კაცი — ერთ განმათავისუფლებელ დროშის ქვეშ დადგომა. უყოფანოდ, უკომპრომისოდ! აი ჩვენი გამარჯვების ერთი თავდებთაგანი. მაგრამ ეს არ კმარა ამ უთანასწორო ბრძოლაში. საჭიროა მოკავშირე მეგობარი. აი აქ უნდა გამოჩნდეს ჩვენი გონების გამჭრიახობა. თავისთავად იგულისხმება, პირველ რიგში ეს მოკავშირენი არიან ჩვენსავით დამონებული ერები: უკრაინა, თურქეთიანი, ყაზახობა და სხვა. მხოლოდ ეს, ასე ვსთქვათ შინაური ძალებია. ჩვენს ბრძოლას, გამარჯვებას კი ამ კოლოსთან ბრძოლაში ესაჭიროება გარეში ძალა. ამ მხრით, ჩვენდა საბედნიეროთ ისტორია მეორდება. ისე როგორც რუსეთის „ცარიზმთან ბრძოლაში ნამდვილ, ბრძოლით გაალმასებულ ქართველ მებრძოლს თავისი ბრძოლის ინსტიკტი არ ღალატობდა და გერმანიის კოალიციის ყოველი ყუმბარა, რომელიც კი რუსეთის თვითმპურობელობის კედლებს ხვდებოდა, მის გულს მალამოსავით ეცხებოდა, ისე დღესაც გერმანია - იტალია - იაპონიის გადაჭრილი ამხედრება, მეტადრე კი იაპონიის აკტივობა რუსეთის დანაწილების მიზნით, ყოველი მისი მუჯლუგუნი, „სუეცუგუს ჩაქუჩი“ („ახალი ივერიას“ სიტყვა რომ ვიხმაროთ), მოსკოვის თავში, ყოველ დღე ქართველ მებრძოლის გულში და, ამაში ღრმადა ვარ დარწმუნებული, მთელ ჩვენს განაწამებ ხალხში სიხარულს იწვევს და იმედებს აღვიძებს. ეს ასეა და ვისაც დაკვირვების უნარი აქვს, იმას ეს მხედველობიდან არ გამოეპარება. ამიტომ ჩემს სრულს გაკვირვებას და გულწრფელ განცვითრებას იწვევს იგივე უურნალ „ახალი ივერია“ს მტკიცება, რომ ვინაიდან ევროპას „ყვითელი საფრთხე“ მოელის იაპონიის მეთაურობით და ეს კი ევროპის კულტურის განაღვურებას მოასწავებს, მაშასადამე ეს ჩვენთვის მიუღებელი მოვლენაა და ამიტომ შორს ეშმაკეულებისაგანო. საოცარია ზოგიერთი ქართველის ბუნება და უფრო კი ეს მისი ფიქრების უსაზღვრო ჰორიზონტი! რას არ მისწვდება მისი გონების წარომდგენა! მახსოვს, მსოფლიო ომის დროს, კიტა აბაშიძე მომხრე იყო ანტანტის გამარჯვებისა, ვინაიდან, მისი აზრით, ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოების გმარჯვება „ბარბაროსულ სერმანიის მეთაურობით“ ევროპის კულტურის განაღვურებას ნიშნავდა. ამავე აზრისა იყო ნოე უორდანია პლეხანოვთან ერთად. საბედნიეროთ ეს ხალხი იყო მხოლობაში, იზოლიაციაში. ქართველი ხალხი სხვას ფიქრობდა, მისი სურვილი სულ სხვა იყო და მისი სალი ინსტიკტი მას არ ღალატობდა. რუსეთ იაპონიის ომის დროს ხომ სიმღერებიც გამოუთქვა ჩვენმა ხალხმა ოიამას (პოი ამას ვენაცვალე!) და ტოგოს!



ახლა ვიკითხოთ რაზე დარღობს „ახალი ივერია“ს მეთაურია. თქვამია, შინ რომ ბავშვი გიტიროდეს, გარედ ტაბლას რა მაღლი აქვსო. რომელ ყვითელ საფრთხეზე გველაპარაკება გაზეთი? თურმე ნუ იტყვით, ამ 35 წლის წინეთ ჩინეთში ერთი ასეთი გეგმა აღმოუჩენიათ. ეხლა კიდევ აღმირალი სუეცუგუ აცხადებს, რომ აზია აზიელებს უნდა ეკუთვნოდესო. აი ამას დაუფრთხია უურნალ „ახალ ივერიას“ რედაქტია. ჩენთვის სრულიად გასაგებია, რომ ინგლისის, საფრანგეთის და აშერიკის კაპიტალისტები შეშინდენ, საგონებელში ჩავარდნენ. მათ იქ ისეთი კონცესიბი და განსაკუთრბული უფლებები აქვთ ძალით მოპოებული, რაც თვით აზიელებს არა აქვთ თავიანთ ქვეყანაში. გარდა ამისა მათ იქ აუარებელი კაპიტალი აქვთ ჩაყრილი. ამ ქვეყნებს ყველა ამისი დაკარგვის ეშინიათ. ეს ბუნებრივია. ახლა ვიკითოთ, რა აქვს იქ, შორეულ ჩინეთში „ახალ ივერიას“ ჩაყრილი და რას მისტირის იგი? ჩემთვის ეს ამოცანაა. სხვისა კი არ ვიცი. აზია აზიელებსო! მერე რა არის ამ ლოზუნგში მიუღებელი? აბა მაშ ვის უნდა ეკუთვნოდეს აზია თუ არა აზიელებს. ეს ხომ იგივეა, როცა ჩვენ ვამბობთ „კავკასია კავკასიელებსო“ და ამისათვის ვიბრძვით კიდეც. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ დღევანდელი ეპოქა ხალხთა და ერთა გამოღვიძების ეპოქაა. მოძრაობაში არიან მოსული არა მარტო ძველი კულტურული ერები, არამედ ისეთი ერები, რომელთაც ისტორია არა ჰქონიათ. ეს, ასე ვსთქვათ ისტორიის მოთხოვნილებაა, რომელიც მე-19 საუკუნემ უანდერძა მეოცე საუკუნეს განსახორცილებლად. „ახალ ივრიას“ კი ამ მოვლენაში დაუნახავს „ყვითელი საფრთხე“, რომელიც თურმე ევროპის კულტურას განადგურებით ემუქრება. ის ისეა დარწმუნებული ამაში, რომ ბერლინში, ვილჰელმშტრასეზედაც კი ამჩნევს, რომ ამის გამო გერმანიაც კი საგონებელში ჩავარდნილა. უნდა გამოვტყდე: ამნაირ ამბების წაკითხვის შემდეგ მეც ჩავთიქრდი. აგერ 15 წელიწადია, რაც გერმანიაში ვცხოვრობ, შეძლების და გვარად აქაურ პოლიტიკას თვალ ყურს ვადევნებ და ეს ამბავი როგორლაც ვერ შევამჩნიე, გამომპარვია. ამიტომ საჩქაროთ გავეშურე ვილჰელმშტრასესაკენ ამ ამბის გასაგებათ. აქეთ იქით მოვიკითხე და გავიგე, რომ ასეთი ამბავი ერთხელ კაიზერ ვილჰელმ მეორის დროს ყოფილა, მაგრამ ეხლა პირიქით, პიტლერის უკანასკნელი სიტყვიდგან მსოფლიომ შეიტყო, რომ საშიშროება - საფრთხე ამომავალ მზისაგან — იაპონიიდან კი არ ემუქრება ევროპის კულტურას, არამედ რუსეთის კომუნისტურ ველურებიდან.

აი არა პრობლემატიური საფრთხე, არამედ დღევანდელი სინამდვილე. და ნუ თუ ქართველს ამის მტკიცება კიდევ ესაჭიროება! ტოკიო-რომი - ბერლინი და ამ ღერძთან დაკავშირებული მრავალი სხვა სახელმწიფოები (და იმედია ახლო მომავალში თურქეთიც) ამ საშიშროებამ შეაერთა გადამჭრელ ბრძოლის დასაწყებათ. ეს ძალაა რომ დღევანდელ რუსეთს მოსისხლე მტრად გადაექცა. ამიტომაა, რომ რაც არ უნდა გვიმტკიცონ ბრძენმა პოლიტიკოსებმა, ყოველი ქართველის გული, მისი გონება, მისი თვალ-ყური ამ ძალისკენაა მიმართული. ჩვე-

ნთვის, ჩვენი სამშობლოს მტრის მტერი, ჩვენი ბუნებრივი მოკავშირება,

„ახალი ივერიიდან“ ერთი სხვა საფრთხის შესახებაც ვტყობილობთ. ეს ყოფილა ახლა სამხრეთის საფრთხე, რომლის გამო (ალბათ ძალიან აქტუალურია!) ბ. დავით ვაჩნაძეს მოხსენებაც წაუკითხავს და მრავალი საგულისხმო საბუთებიც მოუყვანია ამ თემის გასამაგრებლად.

მაშ ასე: შორეულ აღმოსავლეთიდან ჩვენს ქვეყანას ემუქრება „ყვითელი საფრთხე“, ვინაიდან ევროპის კულტურის განადგურება იაპონიის მიერ ჩვენი განადგურებაც არის. მეორე მხრით, ჩვენს ქვეყანას ემუქრება სამხრეთის საფრთხეც. მე რომ ბოროტად განწყობილი ვინმე ვიყვე, უნებლიერ ასეთი ბოროტი აზრიც შემეპარებოდა: ეს ხალხი, რომ ამდენ სხვა და სხვა საფრთხეზე და საფრთხობელაზე გველაპარაკება, მიზნად ხომ ის არა აქვს დასახული, რომ ნამდვილი, ორალური საფრთხე, რომელიც ჩრდილოეთიდან ჩვენს ქვეყანას მოევლინა და დღეს თანდათანობით ანადგურებს, რის გამო სულ ახალის ცნობებით, მრავალი ქართველი ტყეებში ჰპოულობს სიცოცხლის გადარჩენის უკანასკნელ საშვალებას, აი ეს ნამდვილი მდგომარეობა დაგვავიწყოს და ჩვენი გულის ყური სხვა „საშიშროებას“ მივაპყრათ მეთქი. ჩვენი ქვეყნის ნამდვილ მტერსაც ხომ ამის მეტი არ უნდა! მაგრამ არა, ასეთ ბოროტ ბრალდებას არც ერთ ქართველს არ ვაკადრებ. არ მეგულება ქართველი, რომელიც ჩემზე ნაკლებათ იქნება გამწარებული დღევანდელ ჩრდილოეთის მტრის წინააღმდეგ. ამის დასამტკიცებელ საბუთს იგივე „ახალი ივერია“ იძლევა. ერთ თავის წერილში ის ამბობს: „ჩვენი მომავლის თაობაზე (სამხრეთით) სრულიად დამშვიდებული ვართ. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ათათურქი, რომელმაც ირანისა და თურანის მტრის აღმოფხრა, უფრო ადვილად შესძლებს საქართველოსთან მეგობრულ ენის მონახვას. ამას იზამს არა მაჰმადის ხმალით, როგორც ოცნებობს (ალბათ ამის გამო აღარ სძინავს. დ. ს.) სულით და გულით ოსმალო, კუმიკი ბამმატი, (ალბათ ესეც სალანძლავი სიტყვებია. მახლას!) არამედ სამართლიანობის გზითა და საერთაშორისო უფლების დაცვით. დღეს ჩვენს წინაშე ჩრდილოეთის საზღვრების საკითხი სდგას. ჩვენ ვებრძვით ჩრდილოეთის სლავიანურ სტიქიას და არა სამხრეთს. ამ ბრძოლაში სამხრეთის მეზობლის, მათი საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესი ჩვენს მოკავშირედ ხდის.“ (ხაზი ყველგან ჩვენია. დ. ს.) კეთილი, აი ეს არის სრული ჭეშმარიტება! მაშასადამე, თუ ლოლიკას კიდევ ადგილი აქვს, სამხრეთის საფრთხეზე რაღა მიტინგებს ვმართავთ და ტაშსაც უკრავთ? ამას მართლაც ალაპიც ვეღარ გაიგებს.

უურნალ „კავკაზის“ ყველა გამოცემათა მთავარი ხაზიც ხომ ეს არის, თუ კეთილ სინდისიერათ ჩაუკვირდებით მას. მაშ, საიდან მოდის ასეთი გაბოროტება ამ უურნალის წინააღმდეგ? ბოლოს და ბოლოს რას აბრალებთ? ერთ და იმავე დროს როგორ შეიძლება ასეთი ბრალდებების წამოყენება და ისიც ერთ და იმავე ნომერში. აი მაგალითად:

1. „უურნალ „კავკაზის“ სულისკვეთება ტოკიოდნ მონაბერი ქარის შედეგია. (მეთაური.)



2. არ უნდა დაგვავიწდეს, რომ ამ მიზნით მომუშავე ბამატიც დილოეთიდან მოდის. რუსეთი მუდამ ცდილობდა ჩვენი ურთიერთობა ქამხრეთთან გაემწვავებინა. (წერილი „საზღვრებზე და არა საზღვრუბზე“.)

3. ბამატს ოსმალოს გული აქვს და მახვილით ლამობს საქართველოს დაპყრობას. (იგივე წერილი).

4. ამირეჯიბის ორგანო „კავკასიას“ საარსებო წყაროს უნდა ეწოდოს არა მარტო საეჭვო, არამედ საქართველოს მტრებიდან მომდინარე. (განცხადება იმავე ნომერში).


ეხლა გულახდილად გვიპასუხეთ: ჩვენ რომელნიც ცოტა შორსა ვდგევართ, რომელ ბრალდებას ვერწმუნოთ? თქვე დალოცვილებო, ერთი მაინც აკმარეთ! აქ მაგონდება სუმბათაშვილის „ლალატიდან“ ბესო, რომელიც ოთარ ბეგს, მისი მუქარის გამო ასე უპასუხებს: „ბატონო, დიდო ბატონო! ჩემი ცეცხლში დაწვაც გინდა, წყალში დახრჩობაც, თოკზე ჩამოკიდებაც, შამფურზე შეწვაც. ერთი სიკვდილი მაკმარეო.“

გაბოროტებული გულიდან სალი აზრი არა დროს წარმოიშვების, ბატონებო! ნუ ვაბრალებთ ერთმანეთს იმას, რაც სინამდვილეში არა ვართ. მოვიგონოთ ილია ჭავჭავაძის უკვდავი სიტყვები და ყოველთვის წინ წავიმდლვაროთ:

„ხოლო აქაც კი ვრდომილთ შორისა
ღვთის ნაპერწკალი ზოგჯერა კრთების,
ქვეყნის წახდომას გული ზოგისა
შეებრძვის და არ ემორჩილების;
მაგრამა ლალვა, შური და მტრობა
იმ ზოგთა შორისც ლრმად ჩანერგილა,
ამა ჭირთაგან მათი მხნეობა
ალძვრისა უმალ გაცუდებულა.
აგერ ორ-სამ კაცს რაღაც უგრძვნიათ,
ქვეყნისა სალსრად ერთად მიღიან,
ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ
და ერთმანეთს კი არ ენდობიან.
ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ
თუმც ერთისათვის თითქო იღწვიან;
თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც სურთ,
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან.“

პოემა „აჩრდილი“. (ესა სჯობია, ვიდრე „მიბაძვა“ „ახალ ივერიაში“.)

წავიმდლვაროთ ეს ნათელი სიტყვები ჩვენს ბრძოლაში და სავალი გზაც გაგვიადვილდება. მიზანი გარკვეულია ჩვენთვის. ეს არის ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება. მტერსაც ძებნა არ უნდა. ის იქ საქარ-



თველოში ზის. ბრძოლის გზების გამოძებნაც არ იქნება ძნელი, თუ მხოლოდ და მარტო ჩვენი ქვეყნის ინტერესებით ვიხელმძღვანელებთ. მივბაძოთ ამ მხრით დიდს და პატარა, უკვე ჩამოყალიბებულ სახელმწიფოებს. ამ შემთხვევაში ყველა ჩვენი მეგობარი - მოკავშირე იქნება. ვინც კი ჩვენს მტერს, ჩრდილოეთით, სამართლიანად ურტყამს.

ბერლინი.

დ. სალირაშვილი

P. S. „ბრძოლის ხმაში“ ნომ. 77 -ში, გრიშა ურატაძე, ეს უებროვალავანი, ფილიპე მახარაძეს, მისი წერილების გამო ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ, თავის მფარველობაში იყვანს. მე აქ გრიშა ურატაძე არ მაინტერესებს, მასთან ერთხელ და სამუდამოთ გავათავე საქმე. მორალი და ის ერთმანეთთან მწყრალად არიან. კუზიანს საფლავი გაასწორებსო, მაგრამ მას საფლავიც ვერ გაასწორებს. მე ვეკითხები „ბრძოლის ხმის“ პასუხისმგებელ პირთ: როდის იყო, რომ ფილიპე მახარაძის საქმიანობის, გინდა წარსულში, საქართველოს სოციალ დემოკრატია პასუხის მგებლად გამოდიოდა. დღეს ეს ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაა. ამ საგანზე ნათელის მოფენა, ბევრს ქართველს გაურკვევდა გზას.


დ. ს.



ჩვენს ბრძალებები

(გაგრძელება)

რამდენად ბ-ნ მანველიშვილის ბროშურაში მე პირდაპირ ვარ ნაგულისხმევი, საჭიროდ არ მიმაჩნია ბროშურის იმ ადგილის გარჩევა, ვინაიდან მე საკითხი უვკე საკმარისად გავარკვიე. მხოლოდ უნდა აღვნიშნო, რომ სცდება მანველიშვილი, როდესაც ის მე მაწერს ქართევლ საზოგადოების მკვდრათ გამოცხადებას, ვინაიდან მე საზოგადოებას კი არ ვეხებოდი, არამედ საზოგადოებრივობას. თუ რა განსხვავებაა ამ ორ ცნებათა შორის, ამის შესახებ მე ზედმეტად მიმაჩნია ლაპარაკი. მხოლოდ რამდენადაც ბ-ნ მანველიშვილის ბროშურა მიმართულია საერთოდ „კავკაზის“ წინააღმდეგ და სცდილბოს დაამტკიცოს ამ ოგრანოს ანტიეროვნული მიმართულება, მე, ვითარცა მისი თანამშრომელი, ვალდებულად ვრაცხ თავს მივიღო მონაწილეობა ამ საკითხის გარკვევაში. რასაკვირველია, ჩემთვის ძნელია ბ-ნ მანველიშვილთან დავა, ვინაიდან ჩვენ სრულიად სხვა და სხვა საფუძვლებზე ვსდგევართ. მე გამოვდივარ სახელმწიფოებრივ პრინციპებისგან და ეს პრინციპები კი ბ-ნ მანველიშვილისა და მისი თანამოაზრე კამპანისათვის აბსოლუტურად მიუწვდომელ სფეროს წარმოადგენს. ავილოთ თუნდა ის ფრაზა, რომელშიდაც ბ-ნი მანველიშვილი უკათედრო პროფსეორებს და უჯარო



ლენერლებს დასცინის. შეიძლება ბ-ნი მანველიშვილი ამ უკათედროს პროფესორებში შეც მგულისხმობდეს. ამაზედ კი უნდა უპასუხო, რომ სრულებით არ წარმოადგენს ჩემს ნატვრას კათედრა, არამედ ის, რომ გავხდე ლირსი კათედრის. სამწუხაროდ, რამდენად უფრო ვეცნობი მასალებს, იმდენად უფრო მიქარწყლდება ეს ნატვრაც, ვინაიდან უფრო და უფრო ვრწმუნდები ჩემს უცოდინარებაში. ბ-ნი მანველიშვილი ბეღნიერია, რომ ეს ტრალედია მისთივის არ არსებობს, მაგრამ მე არ შემეხება ეს ბეღნიერება. ეჭვს გარეშეა, რომ მანველიშვილი ამ უკათედრო პროფესორებში ბ-ნ ზურაბ ავალიშვილს გულისხმობს; ამ შემთხვევაში მე უნდა მოვახსენო მას, მისი ირონია ქართველი ერის უბედურებაზე ცინიკური დაცინვაა, ვინაიდან თუ მართლაც არსებობს ისეთი ერი, რომელსაც ზურაბ ავალიშვილისთანა პროფესორები გადასაყრელი ჰყავს — მე ასეთ ერს არ ვიცნობ — ქართველ ერზე, ყოველშემთხვევაში ეს არ შიძლება ითქვას.

თუ ბ-ნ მაეველიშვილის თაობას უფრო შეგნებული შთამომავლობა ეყოლა, იგი ბ-ნ ზურაბ ავალიშვილს, ვითარცა მეცნიერს, უკეთესად დააფასებს. ამ შემთხვევაში მოხდება ისე, როგორც მეცნიერის მიმართ არა ერთხელ მომხდარა, როგორც მოსწრებულად სთქვა ერთმა მეცნიერმა. დაფასება ის მცენარე არისო, რომელიც უხვად იფურჩქნება მხოლოდ საფლავზეო. როცა ავალიშვილის საფლავზედ გაიფურჩქნება ეს მცენარე, მაშინ დაფასდება ამ ადამიანის ლვაწლიც, რომლის წინააღმდეგ დღეს ბ-ნი მანველიშვილი და ძმანი მათნი, ბრძა სიძულვილით შეპყრობილნი, შხამს ანთხევენ, და რომლის უნარმა და ენერგიამ ავალიშვილს კათედრა არა, მაგრამ კათედრის სუროგატი მაინც მოუპოვა და ამით მაინც შეძლება მისცა მას, ნაწილობრივ მაინც თავისი მდიდარი ერუდიცია შთამომავლობას გაუზიაროს. თუ ბ-ნი მანველიშვილი ტრაბახობს იმით, რომ მენშევიკების ორ ორგანოს ანტიმეშევიკური ემიგრაცია ათ ორგანოს უპირდაპირებს, აქ სატრაბახო არაფერია და სამარცხვინო კი ბევრი, ვინაიდან ათი ორგანო 300 მკითხველში ფაკტიურად უორგანობაა, რომელიც უფრო სიგიურის ფერხულს წარმოადგენს. ამ პატალოგიურ მოვლენის შესახებ ქართულ პრესაში მწარე გოდებას ჰქონდა აღგილი.

: ბ-ნ მანველიშვილის ლახვარი არა მარტო უკათედრო პროფესორებს, არამედ უჯარო ლენერლებსაც ხვდება. აქ, რასაკვირველია გენ. კვინიტაძეა ნაგულისხმევი. ამ შემთხვევაში ბ-ნ მანველიშვილის შეუგნებლობა უმწვერვალეს დონეს აღწეს. ბ-ნ მანველიშვილს დღემდე ვერ გაუგია, რომ თუ დღეს ქართველი ერი ჯოჯოხეთურ ტანჯუვას განიცემის ეს სწორედ იმიტომ, რომ გენერლები უჯაროთ იყვნენ დარჩენილი და სადაც გენერლები უჯაროთ რჩებიან, იქ ჯარზე, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომ სცდება ბ-ნი მანველიშვილი, როდესაც იგი იმ 9 ათას კაცს, რომელიც საქართველოს ფრონტზე იბრძოდა ჯარს უწოდებს, რადგან იქ ცხრა ათასი კაცისგან შემდგარი ჯარი კი არ იყო, არამედ ცხრა ათასი შეიარაღებული მასა. თუ

მართალია ის, რასაც ერთი საფრანგეთის მეცნიერი ამბობს, რომ თოთი
კი არ ჰქმნის მარტო ჯარის კაცსო, მართალია ისიც, რომ ჯარს არც
თოთით შეიარაღებული მასსა ჰქმნის. როდესაც ბ-ნი მანველიშვილი
სასაცილოდ იღებს ამრიგ უჯარო გენერლებს, ამით მხოლოდ ის ამტკი-
ცებს იმას, თუ რამდენად შორს არის სახელმწიფობრივ შეგნებასთან.
მაშასადამე რამდენად უბედურნი არიან ისინი, ვინც იძულებულნი
არიან, მას სახელმწიფობრივ საკითხებზე ეკამათონ. გასაკვირალი არ
არის ამიტომ, რომ ბ-ნი მანველიშვილი ქება დიდებას ასხამს ქართვე-
ლების სახელმწიფობრივ ნიჭს, რომელსაც ჯერ მენშევიკები და შემ-
დეგ ბოლშევიკები გამოსახავდენ. ამ მენშევიკ-ბოლშევიკების ფარულ
აპოლოვიაზე მე შემიძლია თამამად მოვახსენო ბ-ნ მანველიშვილს, რომ
მე მირჩევნია, რომ ჩემი ძვლები აქ დალპენ უცხოეთში, ვინემ მე კვლავ
ვუყურო ოდესმე მენშევიკების მიერ გამოსახულ „სახელმწიფობრივ
ნიჭს“. თუ ქართველობამ ევროპაში ხანგრძლივი ყოფნის დროს სახელ-
მწიფობრივ ნიჭზე უკეთესი შეხედულება ვერ შეიმუშავა, მაშინ ქართ-
ველი ერი სამუდამოთ გამოსატირებელი იქნება.

ბ-ნი მანველიშვილი, დასკინის რა უკათედრო პროფესორებს და
უჯარო ლენერლებს, მათ ქანქარის მაძიებლებსაც უწოდებს. ეტყობა,
რომ ბ-ნი მანველიშვილი იმდენად ბედნიერია, რომ მას ქანქარის ძებნა
არც კი სჭირდება, რომ იგი უშრომლად და უდარდელად ვარდება მის
ჯიბეში. ვარწმუნებ ბ-ნ მანველიშვილს, რომ მე არც ეს ბედნიერება მე-
შურება, მიუხედავად იმისა, რომ სისხლით და ოფლით მიხდება, ვითა-
რცა მუშას, ქანქარის ძებნა. მე, ისე, როგორც ჩემ სოშოელ მეგობრებს,
რომელნიც „კავკაზს“ თანაუგრძნობთ, ბაზარზე მხოლოდ ჩვენი სამუ-
შაო ძალა გამოგვაქვს, და საზოგადო საქმისგან არა თუ არ მოვითხოვთ
მსხვერპლს ჩვენთვის, პირიქით, მზადა ვართ ჩვენი ლატაკი ჯიბეებიდან
თვით გავსწიოთ მსხვერპლი და კიდევაც არა ერთხელ გაგვიწევია ჩვენ
ეს.

ქანქარის საკითხს უფრო მკაცრად ეხება „ახალი ივერია“. ის იქა-
მდისაც მიდის, რომ „კავკაზის“ რედაქციისაგან ანგარიშსაც მოითხოვს
მის არსებობის წყაროს შესახებ. ეტყობა, რომ მას პროფესიონალურ
საიდუმლოების შესახებ კომუნისტ-სინდიკალისტების შეხედულება შე-
უთვისებია, რომელიც მასში ყოველთვის ბოროტ ნებისყოფას ხედავს.
უურნალი მოითხოვს რედაქციისაგან დაამტკიცოს, რომ იგი დახმარებას
საქართველოს მტრებისაგან არ ღებულობს. „ახალი ივერია“ ნამეტანი
ახალგაზრდობის ორგანო ყოფილა რათა იცოდეს, რომ დამტკიცების
საგანს არა ნეგატიური, არამედ პოზიტიურ ფაქტები წარმოადგენს, მა-
შასადმე „კავკაზის“ რედაქცია კი არ არის ვალდებული დაამტკიცოს,
რომ ის საქართველოს მტრისგან დახმარებას არ ღებულობს, არამედ
„ახალი ივერია“ არის ვალდებული დაამტკიცოს, რომ იგი ასეთ დახმა-
რებას ღებულობს. მე ვშიშობ, რომ „ახალი ივერია“ ასეთი ჭეშმარიტე-
ბის საკითხში მუდამ „ახალგაზრდა“ დარჩება. ქართველმა უურნალის-
ტებმა კეთილ ინებონ და ჯერ მათ მოსთხოვონ ანგარიში, რომელთა მი-

მართ მათ ამის უფლება აქვთ და არა იმათ, რომლებთანაც მათ არჩევის შესახებ უფლება არა აქვთ. როდის იყო, რომ ისინი ვინც ამა თუ იმ ორგანიულ მოძრაობას ეხმარებიან, ნებას იძლეოდენ, რომ ამის შესახებ ყოველ გამომვლელისათვის ანგარიში მიეცათ?

ჩვენ შეგვიძლია დავარწმუნოთ „ახალი ივერია“, რომ თუ მან შესძლო შესრულება იმ მისისა, რომელიც მას აწევს ვითარც ბრალმდებელს, და დაამტკიცა, რომ „ავაზის რედაქცია დახმარებას საქართველოს მტრისგან ღებულობს, მაშინ ჩვენ მოვსპობთ ამ რედაქციასთან ყოველგვარ კავშირს, ვინაიდან „ახალი ივერიის“ და მის კამპანიაზე ნაკლებათ არ ვართ ჩვეული მორალურ პრინციპებისადმი ღრმა პატივისცემას. მხოლოდ სანამ ასეთი ბრალდება ზეპირ ბრალდებათ რჩება, ჩვენ უფლება გვაქვს და მოვალეობაც რომ ზურაბ ავალიშვილის პიროვნება, რომელსაც ჩვენ კარგათ ვიცნობთ, ყოველგვარი იჭვის გარეშე დავაყენოთ და არ მივაწეროთ მას რამე ბინძური კომბინაციებში შესვლის შესაძლებლობა. რასაკვირველია, ჩვენ არ ვართ ვალდებული საქართველოს მტრად ვალიაროთ ყველა ის, რომელსაც „ახალი ივერიის“ ავადმყოფური ფანტაზია ასეთ მტრად გამოაცხადებს. ჩვენ ვიცნობთ მხოლოდ ერთად ერთ მტერს. ეს არის კომუნისტური სამყარო. ჩვენ სიზმარშიდაც არ ვითიქრებთ, რომ „კავკაზს“ ან „ახალ ივერიას“ რაიმე კავშირი ჰქონდეს ამ სამყაროსთან. მაგრამ მასთან ერთად ჩვენ საამაყოდ ჩვენ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ „კავკაზის“ რედაქცია ვერც დაიმსახურებდა ასეთ წყაროსგან დახმარების მიღებას. ამას კი ჩვენ, სამწუხაროდ ვერ ვიტყვით „ახალი ივერიას“ შესახებ, ვინაიდან მას დღეს სხვა საქმე ვერ უპოვნია, ვიდრე ყვითელი საფრთხესთან ბრძოლა!

ვ. ემუხვარი

(გაგრძელება იქნება)



— ჩართველ ნაციონალისტთა შეცოდებანი

„ქმნა მართლისა სიმართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად.“

როდესაც ჩვენ ქართველ ერზე თავდატეხილ უბედურების მიზე-ზებს ვეძებთ, ყველანი შებყრობილი ვართ ერთი და იგივე შაბლონური აზრით და ყველაფრის სათავეთ ჩვენი ქვეყნის საუბედუროდ გაჩენილი ბოლშევიკ - მენშევიკობა მიგვაჩნია და ბრალსაც მხოლოდ მათ ვდებთ. მენშევიკური პარტია, როგორც ხელმძღვანელი პარტია საქართველო — ამიერ კავკასიისა, რომ მართლაც სათავეა ჩვენი ხალხის დღევანდელი ტანჯვა ვაებისა, ამაზედ შეგნებულ ქართველისთვის ორი აზრი არ არსებობს. ხოლო ობიექტივობა წარსულის და აწმყოს მაგალითები-

დან მოითხოვს ჩვენგან სწორად აღნიშნულ იქნას ის წილი პასუხისმგებლობისა, რომელიც ქართულ ეროვნულ ბანაკს მიეკუთვნება.


ამ ქართულ ეროვნულ ბანაკის პასუხისმგებლობის განხილვისათვის ჩვენ არ გამოუდგებით შორეულ წარსულს. ჩვენ გვინდა ქართულ ეროვნულ ბანაკის მოქმედებას დიდი ომის ბოლო წლებიდან ვიდრე დღევანდლამდის მივსდიოთ და ამ რიგათ შემოფარგლულ მანძილზე, განვიხილოთ ქართული ნაციონალიზმის შეცოდებანი.

1914 — 1918 წლებში მომხდარმა დიდმა ომმა ყველა ქვეყნის ჩაგრულ ერებში სიცხოველე შეიტანა და მომავლის იმედი დაუბადა. მსოფლიოში ამტკიციალიდან და ნგრევის პროცესიდან ჩაგრული ერები ხსნას გამოელოდენ. მათში თითქოს მიძინებულმა ეროვნულმა დინამიზმა კვლავ თავი იჩინა. მათ წიაღში წარმოიშვენ ახალი დარაზმულობანი და ამ დარაზმულობათა მეთაურებმა მიაშურეს ორად გაყოფილ ევროპის სატახტო ქალაქებს, რათა იქ ეძიათ თავიანთი ეროვნული მისწრაფებათა დასაყრდენი წერტილი. რასაკვირველია არჩევანი ხდებოდა იმის და მიხედვით, თუ რომელ ჩაგრულ ერს, რომელი კოალიციის გამარჯვება მოუტანდა თავისუფლებას. ყველამ უწყის ამ მიმართულებით ჩენ, პოლონელ და სხვა ერთა მეთაურობის თავგამოდებული სამზადისი და ბრძოლა თავიანთ სახელმწიფოთა კვლავ აღსაღვენათ. არც უნაყოფოდ ჩაუვლია მათ განწირულ სულისკვეთებას. ევროპის ბოლიტიკური რუქა გამდიდრდა ბევრი კვლავ აღდგენილი და ან ახლად წარმოშობილი სახელმწიფოებით. ხოლო ამ ახალ პოლიტიკურ რუქაზე სამი წლის ეფემერული არსებობის შემდეგ საქართველოს სახელი კვლავ წაიშალა, მაშინ როდესაც ამავე რუქაზედ თავის ადგილი უჭირავთ ბევრ ჩვენზედ ფიზიკურად, კულტურულად და ტერიტორიალურად სუსტ ერებს.

რა არის მიზეზი ჩვენი ქვეყნის ასეთი ტრალედიისა? ბევრ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს პასუხისმგებლობის თავიდან ასაცდენად უყვარს გეოგრაფიის დახმარება. ზოგიც კი ყველაფერს მენშევიზმ - ბოლშევიზმს აბრალებს და ამ თავის მართლებით უნდა წარსდგეს ისტორიის სამსჯავროში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ გეოგრაფია ყველაზედ ნაკლებათ არის დამნაშავე კავკასიელ ერების დალუპვაში. გეოგრაფიამ პირიქით, საუკუნეთა განმავლობაში უნახავი პირობები შეგვიქმნა. სამი წლის განმავლობაში ჩვენ თავისუფალნი ვიყავით მეზობელ იმპერიების საფრთხისაგან, ხოლო ჩვენ კი მათი მოსალოდნელი შეტრიალების მედგრად დასხვედრად არაფერი გავაკეთეთ. ჩვენის ფიქრით ვერც ისინი გაიმართლებენ თავს ქართველ მემატიანეს წინაშე, ვინც ცდილობს ყველაფერი მენშევიზმ - ბოლშევიზმს თავს მოახვიოს და თითონ წმინდა წყალზედ გამოვიდეს.

პასუხისმგებელი ჩვენი ეროვნული ტრალედიისა ყველა ქართული საზოგადოებრივი ჯგუფებია და აქ მხოლოდ პასუხისმგებლობის მეტნაკლებობაზე შეიძლება საუბარი.



მენშევიზმის და მისი მეთაურის ბ. ნ. უორდანის დანაშაულზე ჩვენი ერის მიმართ ბევრი თქმულა და ბევრიც დაწერილა. სულ ანლო წარსულში მეც მქონდა კადნიერება მათთვის არა სასიამოვნოდ გასახ-სენები წარსული ნამოღვაწარი მომეგონებინა. დღევანდელი ჩვენი გა-ნხილვის საგანს ქართული ეროვნული ბანაკის წარსული და აწმყო ნა-მოღვაწარი შეადგენს და ამ ნამოღვაწარის კრიტიკულად განხილვას ჩვენ დიდი ომის წლებიდან ვიწყებთ.

ჩვენ ზემოთ ვსთქვით თუ როგორი გავლენა მოახდინა თავისუფ-ლების მძებნელ დაჩაგრულ ერებზე დიდი ომის დაწყებამ.

ბუნებრივი იქნებოდა საუკუნოებით თავისუფლებისათვის მებრ-ძოლ ქართველობას და უამთა გარემოებით რუსეთის ტყვეობაში ჩავარ-დნილს, აღძროდა თავისუფლების და ათას წლობით არსებულ სახელ-მწიფოს კვლავ აღდგენის სურვილი.

მაგალითი ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლისა ამ მხრივ ძლიდარი წარსულის მქონე ქართველობას უნდა მიეცა სხვა ერთათვის. სინამდვილეში კი მაგალითი ჩვენ სხვა ერებმა გვიჩვენეს და ჩვენ მათი მიბაძვაც კი ვერ შევძელით. რითი უნდა ავხსნათ ეს გარემოება? ქართ-ველობის დაძაბუნებით თუ ჩვენი ერის მეთაურთა, ჩვენი საზოგადოე-ბის ხელმძღვანელთა უილაჯობით? ვინც ჩვენი ერის თავის მეობის შე-სანახად წარმოებულ გმირულ ბრძოლებს საქართველოს სამეფოს და-ცემამდის, მეცხრამეტე საუკუნის პირვლ ნახევარში და 1921 წლის წი-თელ რუსეთის კვლავ შემოსევის შემდეგ თვალს გადაავლებს, მისთვის ახსნა ჩვნი დღევანდელი ტრალედიისა სულ ადვილი იქნება. აქ ქართ-ველი ერი არაფერ შუაშია. ბრალი მხოლოდ მის სუსტ და უილაჯო მეთაურობას ედება. ჩვენ თვალწინ გვიდგას მაგალითები იმისა, თუ რა მნიშვნელობა აქვს არა თუ პატარა ერებისათვის, არამედ დიდი იმპერი-ებისათვისაც კი მეთაურობას. ერი როგორც მასსა თვით ვერაფერს ქმნის, მისი შემოქმედების უნარი ეროვნულ ცხოვრების ყოველ დარ-გში და განსაკუთრებით მის პოლიტიკურ არსებობის სიძლიერეში მის მეთაურობაზედ არის დამოკიდებული.

თუ ერს მეთაურობა არ უვარება, ის ვერ გამოააშკარავებს მასში უხვადაც დამალულ ეროვნულ პოტენციალს. პირიქით, თუ მეთაურობა კარგია, მაშინ სუსტ ერსაც შეუძლია წელში გასწორება, მეობის დაცვა და ამ წუთისოფელში თავის ადგილის დაჭერა. ჩვენი ერის უბედობაც სწორედ იმაშია, რომ მას არ აღმოაჩნდა საჭირო მომანტში ნაცადი, ქა-რთული სახემწიფობრივი ტრადიციის მქონი მეთაურობა.

მაშინ როდესაც დიდი ომით იმედ გაღვიძებული ერების ენერგიის მომარჯვება ხდება, როდესაც მათში იქმნება მებრძოლი გუნდები ლი-ასეულ მეთაურთა გარშემო, ჩვენში ამ დროს გულმოსაკლავ სურათს ვხედავთ. ჩვენი ერის უდიდეს ნაწილს მაჯლაჯუნასავით აწევს ქა-რთულ ეროვნულ იდეალების უარმყოფი, კლასთა ბრძოლის მოციქულა და თან რუს „ობორონეცის“ გიორგი ვალენტინეს ძე პლეხანოვის შე-გირდი, მარქსისტი ნოე უორდანია. ამ კაცისგან და მის თანამებრძოლე-

ბისგან რომ საქართველო ვერაფერს მოიგზდა, ეს ყველასათვის აშკარა რა უნდა ყოფილიყო. მაგრამ სად იყო და რას აკეთებდა ამ დროს ნამდვილი ქართული ეროვნული ბანაკი?

ჩვენ არ გვინდა ვსოდეთ, რომ ამ ბანაკს არ ქონდა შეგნებული ქართული ეროვნული იდეალი, რომ ის არ ოცნებობდა წარსულ ან მომავალ დიდებაზედ, მაგრამ ოცნების განსახორციელებლად საჭმე იყო საჭირო და საჭმე კი ძალიან ცოტა კეთდებოდა.

როდესაც ჩვენ ემიგრაციაში მყოფ ქართულ ეროვნულ ბანაკის ვეტერანებს ამ უსაჭმობას ჩვენს მისწრაფებათა დაცვის საჭმეში, უსაყვედურებთ ხოლმე, მათგან ყოველთვის ერთ და იგივე პასუხს ვღებულობთ: უორდანია, გეოგრაფია და სხვა.

კი ეს ანგარიშში მისაღები საბუთებია, მაგრამ ეს არ კმარა. საკითხია — შეხვდა თუ არა ჩვენი ეროვნული ბანაკი მომენტს, როგორც ამას ეროვნული ინტერესები მოითხოვდენ? აქ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ არა! ქართულ ეროვნულ ბანაკს უნდა შეეკრა თავისი ეროვნული რიგები და ერთის ეროვნული დოკტრინით, ერთი დარაზმულობით, ერთი მეთაურობით ის უნდა ცდილიყო საქართველოს განთავისუფლებას, ჩვენი მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოს კვლავ აღდეგნას.

ბ-ნ ნ. უორდანია ამ გასალკლდებულ ქართულ ეროვნულ ბანაკს ვერაფერს დააკლებდა და შესაძლებელია, მის წინაშე მუხლიც მოედრიკა. ნაცვლად ამ ეროვნულ დარაზმულობისა, ჩვენში დღესაც მრავლად არიან მეოცნებე ერთი მეორეს დაპირისპირებული ჯგუფები. ეროვნული ბრძოლის წარმოება კი, შინ და გარეთ, ასეთი გაშლილი რიგებით, არამც თუ პატარა ერს, დიდ ერებსაც კი ვერ შესწევთ.

საგულისხმიერო ამბავია! ამ დროს უცხოეთში მყოფი ქართველების მცირე ჯგუფი აარსებს დამოუკიდებლობის კომიტეტს და რუსეთას. წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოებთან აყენებს საქართველოს საკითხს. ეს ჯგუფი დიდის თავგანწირვით იბრძვის, გზავნის თავის ემისრებს ჩუმალ, წყალ ქვეშა ნავებით საქართველოში და იქ კი სულ მცირე ქართულ ჯგუფის გარდა ვერავის ყურადღებას ვერ იპყრობს. ერთი ასეთი ჩამოსვლის დროს განსვენებული გიორგი მაჩაბელი, იძულებულია ცალ ცალკე ჯგუფები ინახულოს და ერთ შესანიშნავ ქართველს, აწ ტრადიციულად საქართველოსათვის ალსრულებულს მიმართავს. დამახასიათებელია ამ ორი დიდი ქართველის საუბარი. ახალგაზდური ეროვნული ცეცხლით ანთებული გიორგი მაჩაბელი ამ ქართველ დიდ მოღვაწეს თავის გეგმას გადაუშლის. მისი თამამი გეგმით გაოცებული მოსაუბრე ეუბნება: „გიორგი, შენ ხელახლად მონათვლა გჰირდება.“ და გ. მაჩაბელიც არა ნაკლებ სიმტკიცით უპასუხებს: „არა ბატონო, მე ისეთი კაცის მონათლული ვარ, რომ ჩემი მეორედ მომნათვლელი ალარ მეგულება!“ ო. გიორგის ნათლია, მასთან მოსაუბრე ქართველის ბიძა, ჩვენი დიდი ილია იყო. თბილისით გულგატეხილი გიორგი მაჩაბელი ქუთაისს მიემგზავრება, მაგრამ იქაც იგივე უილაჯობა, იგივე დაბნეულობა ხვდება. იქ მცხოვრებ აწ განსვენებულ ცნობილ



ქართველ კაცს შემდეგ ფრაზასაც კი აწერენ: „რა დროს საქართველო^{საქართველო}
ზე ფიქრია, როდესაც პარიზს ყუმბარებს უშენენო!“

გიორგი მაჩაბელი ქართული ეროვნული ბანაკის ასეთი დაშლა
დაბნეულობის მიზეზით, იძულებული ხდება ბ. ნ. უორდანიასაც კი შე-
ხვდეს. რასაკვირველია, რუსეთის „ობორონეც“ უორდანიასაგან კლასი-
კურ პასუხს ღებულობს: „ჩვენ რუსის დემორატიას ვერ დავშორდები-
თო“ და ყოველ შემთხვევისათვის ტაკტიური მოსაზრებით დასძენს:

„თქვენ იქ იმუშავეთ და ჩვენ აქ ვნახავთო“.

აი რას წარმოადგენდა ქართული ეროვნული ბანაკი, როდესაც
სხვა ადგილას და სხვა ქვეყნებში, ერთად შეკუმშული და ეროვნული
ენერგია დაძაბრული სხვა ერები, თავიანთ თავისუფლებისათვის იბრძო-
დნენ.

დამოუკიდებლობის კომიტეტის ემისარი გიორგი მაჩაბელი უცხ-
ოეთში ბრუნდება და მოხსენებას უკეთებს კომიტეტს. კომიტეტი მაი-
ნც გულგაუტეხლად აგრძელებს ბრძოლას. მომავალი ქართველი მემა-
ტიანე ამ უანგარო ქართველ პატრიოტთა მცირე ჯგუფს ლირსეულად
მოიხსენიებს და 1918 წელს საქართველოს მიერ ეროვნული ტრაგედი-
ის თავიდან აკცენტს და მის დამოუკიდებლობის აღდგენის დამსახურე-
ბას მათ მიუზღავს.

ხოლო მაშინ კი ტყვილად ჩაიარა მათმა ლვაწლმა და უანგარო თა-
ვანწირვამ. ქართული ეროვნული ბანაკის აშლილობამ და უმწეობამ
საქართველოს მეთაურობა, ლოლიკის ყოველივე კანონის წინააღმდეგ,
ნიღილისტს, ანტი-ქართულ ძალის წარმომადგენელს მარქსისტ ნოე უო-
რდანიას ჩაუგდო ხელთ.

ამგვარად, ჩვენი ახლად აღდგენილი სახელმწიფოებრივი ცხოვრე-
ბის დაწყებასთან ერთად მოხდა ჩვენი დამარცხებაც. ამ სახელმწიფოს
სათავეში ანტი-ეროვნული, მარქსისტული მთავრობა მოექცა. ის, რაც
1921 წელს მოხდა, ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ასე უკულმა-
რთად დაწყების შედეგი იყო.

საკითხავია თუ როგორ დახვდა ქართული ეროვნული ბანაკი სა-
ქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას. შეიძლება მაშინ მაინც იგ-
რძნო ამ ბანაკმა თავის პასუხისმგებლობა ერის წინაშე. შეიძლება მა-
შინ მაინც შეიკრა ქართული ეროვნული ბანაკი ანტიეროვნული მთავ-
რობის კრიჭაში ჩასადგომათ და ახლად აღდგენილ სახელმწიფოს გა-
დასარჩენად. სამწუხაროდ არა! ქართულ ეროვნულ ბანაკის დაშლილო-
ბა დამოუკიდებლობის დროსაც გაგრძელდა. საქართველოს პარლამენ-
ტში წარმოდგენილი ჯგუფების და პარტიების ჩამოთვლა ამ დაშლი-
ლობის ნამდვილ სურათს კიდევ ვერ დაგვიხატავს, თუმცალა ჩვენ ეს-
ლობის საკმარისად მიგვაჩნია. აქ წარმოდგენილი გახლავთ ეროვნულ-დე-
მოკრატიული „ბურუუაზიული პარტია“, დამოუკიდებელი ეროვნულ-
დემოკრატიული „მიწის მესაკუთრეთა“ პარტია, რაღიკალ დემოკრატი-
ული პარტია, უპარტიოთა ორი წარმომადგენელი, და ყველაზედ აღრე-
ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული ეროვნული „სოციალ ფედერალი-

სტა“ პარტია, რომელიც მემარცხენეობაში თვით მარქსისტებსაც უდიდესი განვითარებული კრების გახსნისას, როგორც იქნა, მოახერხა რომ მენშევიკების მარცხნით დამჯდარიყო. აი, გულშემზარავი სურათი ჩვენი მაშინდელი სინამდვილისა. იმის მაგივრად, რომ ყველა ეს მართლაც პატრიოტული ქართული ჯგუფები ერთად შეკრულიყვნენ და საქართველოს სახელმწიფოს მომავლის განსამტკიცებლად ებრძოლათ, ესენი იდეოლოგიურ საფუძვლებსაც კი უძებნიდენ თავიანთ დაშლილობას. ამ დანაწილებულ ქართულ ეროვნულ ჯგუფებს სათითაოდ აჯობა მენშევიზმა. ეროვნული ოპოზიციის ლვაწლი რამოდენიმე ლამაზად წარმოთქმულ სიტყვაში ამოიწურა, მარქსიზმა კი, ლოლიკის კანონით, საქართველო კვლავ დაღუპა და ტყვედ ჩაუგდო იგი... უკეთეს მარქსისტებს, ბოლშევიკებს!

მაგრამ იქნება ამ ახლად თავს დატეხილმა სახელმწიფოებრივმა ტრადიციამ მაინც განკურნა ქართული ეროვნული ბანაკი? არა, არც ამ ახალმა უბედურებამ უშველა მას. განა ჩვენ მოწმენი არ ვიყავით იმისა, თუ რა მოხდა საქართველოში 1921 წლის შემდეგ? მაგრამ ყველა იქიდან მიღებული ცნობები რომ კიდევაც უყურადღებოდ დავტოვოთ, ქართული ეროვნული ბანაკის სისუსტის მაჩვენებლად ამ პერიოდშიაც, მარტო ის კმარა, რომ საქართველოში 1921 წელს, მარქსისტების წყალობით დატრიალებული უბედურების შემდეგაც, გამანთავისუფლებელ მოძრაობის სათავეში, ისევ მარქსისტები მოექცნენ.

1924 წლის აჯანყების სამზადისს და თვით აჯანყების მეთაურს „დამოუკიდებლობის კომიტეტს“ ისევ მენშევიკები ხელმძღვანელობენ. რა არის ეს? რითი უნდა ავხსნათ ასეთი ულოლიკობა და საქართველოს მიმართ ამ აკტით ჩადენილი დანაშაული, თუ არა ისევ ჩვენი ბანაკის სისუსტით და უილაჯობით?

განა შესაძლებელი იყო რომელიმე ქვეყანაში ისეთი ფაქტი, რომ დამარცხებული ანტიეროვნული მარქსისტული მეთაურობა, კვლავ სათავეში მოქცეოდა ეროვნულ ბრძოლას და ისიც მათ განაყოფ ძმების, მარქსისტულივე დროშით შემოსეულ დამპყრობელების წინააღმდეგ?!

ჩვენ ასეთი რამ არც წაგვიკითხავს და არც გვსმენია. ჩვენ თვალწინ კი სხვა მაგალითს ჰქონდა აღგილი. ჩვენ ვნახეთ თუ როგორ სასტიკათ მოექცა ეროვნული და მებრძოლი საბერძნეთი თავის უუნარო და დამარცხებულ მთავრობას. მაგრამ, რადგანაც ჩვენს ერს საშვალება არ ჰქონდა მისი ტრადედიის გამომწვევი სამართალში მიეცა, ამის უნარი მაინც უნდა აღმოგვჩენოდა, რომ ამ ხალხისგან სამუდამოთ გავმიჯნულიყვით. თუ ეს ასე არ მოხდა, ისევ ჩვენი ბანაკის სისუსტეს და უილაჯობას უნდა მიეწეროს. 1921 წლის შემდეგ ქართულ ეროვნულ რთული ეროვნული მოძრაობის. ქართველი ხალხი ამას უფრო უკეთ გაიგებდა და მენშევიკურ მეთაურობას საბოლოოდ ზურგს აქციევდა.

1924 წელს ქართველი ხალხის მიერ გაღებულ უამრავი მსხვერპლი, ეროვნულ მეთაურობის ხელში სხვა შედეგებსაც მოგვცემდა.

1924 წლით დასრულდა ერთი ციკლი ქართული ეროვნული გამა-

ნთავისუფლებელი ბრძოლისა. ამით ბრძოლა საქართველოში არშეწყიდვა ვეტილა და ის შეუჩერებლივ უკვე სხვა ფორმებში სწარმოებს. ზოლო ჩვენ საზღვარგარეთ გადმოხვეწილ ქართველობას ის იმედი გვასულდგმულებს, რომ გაწამებული ქართველი ერი ეხლა მაინც მიმხვდარი არის თუ რა ჭირი გაუჩნდა მას შინაური და გარეული მარქსიზმის სახით, თუ ვინ არის დამნაშავე მისი დაუსრულებელი ტანჯვისა და მის მესაფლავეებს საბოლოოდ გაემიჯნება.

ბრძოლაში გამობრძმედილი ქართველი ხალხი თვით შექმნის მთლიან ქართულ ეროვნულ დარაზმულობას და საჭირო მეთაურობასაც გაიჩენს. დღეს ქართველ ხალხთან მარქსიზმის დროშით ვერავინ მივა და ის არც ეროვნულ ძალთა დაშლა - დაქაქსულობას მოითმენს. მომავალ ისტორიულ მომენტს ქართველი ხალხი ერთის ეროვნული მრწამსით შეკრული რიგებით დახვდება და მის მეთაურად ვერ გახდებიან ის პატრიოტებიც, რომლებიც ჯგუფური ინტერესებით არიან შეპყრობილნი.

ჩვენ კი, ქართულ ეროვნულ ემიგრაციას, იქ თავდაუხრელად მებრძოლი ქართველი ხალხის ნაწილს, ჩვენი მოვალეობა გვაქვს და თუ ოდესმე გვინდა ქართველი ხალხის წინ პირნათლად წარვსდგეთ ეს ჩვენი მოვალეობა რიგიანად უნდა მოვიხადოთ.

შესძლებს კი ეროვნული ემიგრაცია მის მოვალეობის შესრულებას? ჩვენ ვეჭვობთ რომ მან ეს შესძლოს, თუ მისი მოღვაწეობა არ გასცილდა დღევანდელ მის „საქმიანობის“ ფორმებს.

ჩვენი ეროვნული ტრალედიის 17 წლის თავზედ ქართული ეროვნული ემიგრაცია წერტილიდან არ დაძრულა. აქ იგივე დაშლილობა, იგივე ჯგუფური კარჩაკეტილობა, და ამ ჯგუფთა ურთიერთ შორის ქიშპობა და დაუზოგველი ბრძოლა სუფევს. სამწუხარო ის არის რომ ასეთ ერთმანეთში ბრძოლას ხშირად საფუძვლად უდევს ისევ მარქსისტებთან შეთანხმების მისწრების სურვილი.

დროა ქართველობამ შეიგნოს მომენტის მთელი სირთულე. კაცობრიობა აბობოქრებულ ოკეანეს ემსგავსება და ჩვენი პატარა გემის მშვიდ ნაპირზე გაყვანას დიდი სიფხიზლე და გონება სჭირია.

მოსალოდნელ ეროვნულ საფრთხის წინაშე დიდი იმპერიების შვილებიც კი ივიწყებენ შინაურ უთანხმოებას, ერთად ჯგუფდებიან. და ერთ ნაცად მეთაურობას მიყვებიან.

ჩვენზედ კი, ჩვენი თვალის წინ მომხდარი მაგალითები არავითარ კვალს არ სტოვებენ.

დროა ამ შემზარავ და გულგამტეს სურათს ბოლო მოელოს. ეროვნული ემიგრაცია უნდა ერთ ბანაკად შეიკრას, ყოველგვარი იდეოლოგიური და ჯგუფური უთანხმოებანი დაივიწყოს და მხოლოდ საქართველო - კავკასიის მომავალზედ ითიქროს და იზრუნოს.

საზრუნავი საგანი კი ბევრი აქვს მას. ეროვნულმა ემიგრაციამ უნდა შეასრულოს შუამავალის როლი მებრძოლ საქართველო - კავკასია და ევროპიელ სახელმწიფოთა შორის, რომელთა მორალურ და მატე-

რიალური დახმარების გარეშე ჩვენი მიზნების მიღწევა მეტად გართულებული და პრობლემატიური იქნება. ევროპიელ სახელმწიფოთა ჩვენი ბედით დასაინტერესებლად, ჩვენ უნდა გავწიოთ სათანადო პროპაგანდა ქართულ და კავკასიურ საკითხებისა. რაც მთავარია ჩვენ უნდა დავანგრიოთ ევროპაში გავრცელებული მითი, რომ ოდითვე ლვისმშობლის წილ ხვედრი საქართველო, დღეს მარქსისტთა წილ ხვედრ ქვეყანად არის მონათლული. განა არ გვეყო ამდენი მარქსიზმი? ვთიქრობთ რომ მარქსისტები და მარქსიზმი გვეყო, მით უფრო, რომ დღეს, ევროპაში, მარქსისტული დროშის ქვეშ მებრძოლი ერის ილბალი არავის აინტერესებს.

ეროვნულმა ემიგრაციამ გარდუვალი მიჯნა უნდა გაავლოს ჩვენ გაერთიანებულ ბანაკსა და შემთხვევით საქართველოს მთავრობად მოვლინებულ მარქსისტებს შუა. მან უნდა აჩვენოს ჩვენი მებრძოლი ერის უდრევი გადაწყვეტილება ჩვენი სახელმწიფოს კვლავ ალორძინებისა. გაერთიანებულ ქართულ ეროვნულ ემიგრაციას ამ მასზედ დაკისრებული მოვალეობის შესრულება შეეძლება, ხოლო დაქსაქსული და ერთი მეორის მოქიშპე ჯგუფებად დანაწილებული საქართველოს მხოლოდ ზიანს მიაყენებს და მის წინაშე ახალ დანაშაულს ჩაიდენს. ზიანის მიმტანთ და დამნაშავეებს კი საქართველოში მებრძოლ ქართველობასთან მრავალებრივი პირი არ ექნება.

მიხეილ კედია



კონფედერაცია და მსგავსი კავშირები

ყველა კავკასიელისა და ქართველის გონიერებაში უკვე საკმაო აღგილი აქვს მოპოებული იმ უცილო გარემოების შეგნებას, რომელიც ამ ქვეყნის ყველა ერთა გეოპოლიტიკაში მდგომარეობს. ამიტომაც უეჭველია, რომ ამ საკითხის გარკვევა ყველა იქ მყოფ ერთათვის მეტად საინტერესოა. ამავე დროს, აუცილებელი მოვლენაა, რომ ყოველი ამ ერთაგანი თავისი უფლებისა და სუვერენობისაკენ მიღის. მაშ, როგორი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ აღნიშნულ გეოპოლიტიკურ მდგომარეობით ნაკარნახევი კავკასიელ ერთა ფორმალური თანამშრომლობის იურიდიულ - კონსტიტუციონალური მოდუსი?

საკითხის საპასუხოდ საჭიროა, რომ კონფედერაციის არსი კონსტიტუციონალური სამართლის მიხედვით განიმარტოს, რომელიც ნათელს ჰყოფს სუვერენული ერის მისდამი შესაბამობას.

კონსტიტუციონალურ სამართლის მიხედვით სახელმწიფო ერთეულში უნდა გავარჩიოთ სამი რამ: ნაცია, სახელმწიფო და ხელისუფლება. ამის და მიხედვით ერი, (ნაცია) ადამიანთა კრებული საზოგადოება ერთი და იგივე საერთო კანონებისა და ავტორიტეტის ქვეშ მცხო-



ვრები ხელისუფლება — ყველა იმ ორგანოთა ანსამბლი, რომელიც აღდებს ერის სუვერენობას სახელმწიფოში. იგი აღმასრულებელი ინსტანციების სინონიმია. ხოლო სახელმწიფო — ერის იურიდიული პერსონიფიკაცია არის.

სახელმწიფო არის მუდმივი იურიდიული პერსონა, ხელისუფლება კი ცვალებადი. იცვლება ხელისუფლება — რჩება სახელმწიფო.

სახელმწიფო შეიძლება იყვეს მარტივი, უნიტარული და შედგენილი (კომპოზე). მაგალითისათვის, პირველს ეკუთვნის საფრანგეთი, იტალია და სხვ. მეორეს სხვა და სხვა ფორმებში ინგლისი, ამერიკა, შვეიცარია, ბელგია, ჰოლანდია და სხვ. ხოლო ამ წერილში გვაინტერესებს მეორე ჯგუფიდან კონფედერატიული მართველობის არსი.

სახელმწიფოთა კონფედერაცია შემდეგი ხასიათისაა: 1. თვითეული კონფედერაციაში შემავალი ერი, მისი იურიდიული პერსონიფიკაცია — სახელმწიფო — ინარჩუნებს თავის სრულ სუვერენობას, როგორც საშიანაო, ისე საგარეო ცხოვრებაში. თვითეულ მათგანს დამოუკიდებლად ჰყავს საგარეო წარმომადგენლები და დამოუკიდებელი დიპლომატით მოქმედებს, სდებს ხელშეკრულებებს და სხვა. კონფედერაციაში შემავალ სახელმწიფოთა საჭიროობო საკითხები სწყდებიან იქ შემავალ სახელმწიფოთა კონგრესებზე, დიეტებზე და დიპლომატიურ კრებებზე და არა რაიმე უზენაეს სავალდებულო დაწესებულებაში. ამ დიპლომატიურ შეხვედრა - დიეტა - კონგრესებზე საკითხი წყდება ერთხმად და არა უმრავლესობით. წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხს არ ეძლევა მსვლელობა, რჩება ღიად. ერთხმად მიღებული საკითხი ძალაში შედის როცა მას თვითეული სახელმწიფო სუვერენულად დაადასტურებს. რის შემდეგ მას ცხოვრებაში აღმასრულებელი ორგანოები გაატარებენ.

კონფედერაციაში შემავალ ერებს შესაძლებელია ჰქონდეთ სრულიად სხვა და სხვა რეუიმი ანუ სახელმწიფოებრივი პრინციპი. როცა საუბარია კავკასიელ ერთა კონფედერაციაზე, იქ შემავალ ერებს, როგორიც არიან სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო და ჩრდილო კავკასია, შესაძლებელია ერთი მეორისაგან განსხვავებული სახელმწიფო წყობა ჰქონდეთ. იქნება ის დემოკრატიული, ნაციონალისტურ - ფაშისტური თუ მონარქისტული და სხვა.

ამრიგად კონფედერაცია არის სუვერენულ ერთა კონცერტი, კონტაქტი, თანამშრომლობა. ისტორიულად, კონფედერაციას ერთის მხრივ დაჰყვა ისეთი ტენდენცია, რომ იგი ფედერატიულ სახელმწიფოში გადადის. ასე მოხდა მაგალითად ამერიკის შეერთებულ შტატებში, შვეიცარიაში. გერმანიაში კი ის დასრულდა გერმანიის სრული უნიტარულობით.

მეორე მხრით, ბრიტანეთის იმპერიის მტკიცე ერთობას, მეფის სახით გაპერსონებულს და უფრო შორს წასულს ვიდრე ფედერაცია, დომინიონების რთული სისტემით და სამ ძირითად ერთეულზედ: ინგლისელთა, ეკოსელთა და ირლანდიელებზედ დაყრდნობილს, პირიქით,

მეორე ისტორიული ტენდენცია ემჩნევა — კონფედერაციულობისაკენ თუ ზოგისთვის სრულ სუვერენობისაკენ სვლაც კი.

ფედერაცია კი კონსტიტუციური სამართლის თვალსაზრისით სახელმწიფოთა მმართველობის ისეთი ფორმაა, რომლის თითეული წევრი, არსებითად ავტონომიურ მდგომარეობაშია. ეს მართველობა ხასიათდება ფედერაციაში შემავალ ერთათვის ერთი უზენაესი მთავრობის ყოლით, რომლის დადგენილება ყველასთვის პირდაპირ სავალდებულოა. საგარეო მოქმედებას ეს უზენაესი მთავრობა განავებს, სდებს ხელშეკრულება - ტრაქტატებს. უფლება აქვს ომის გამოცხადების ყველას სახელით და სხვ. ფედერაციის პაკტის მიხედვით უზენაესი ფედერატიული მთავრობა აწესრიგებს საერთო თავდაცვის საქმეს, საერთო ფინანსებს და მთელ რიგ ერთიანობას, რაიცა თითეულის შინაურ საქმიანობაში ჩარევას, სუვერენობის შემცირებას და უკვე ავტონომიას ნიშნავს.

სახელმწიფოთა კონსტიტუციური თანამშრომლობის მესამე ტიპს ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენენ. მისი მეორე სტადია იყო კონფედერაციისა და ფედერაციის ფორმათა კოორდინაცია. 1787 წლიდან, კონსტიტუციის რევიზიის შემდგომ, ისინი გადავიდენ ტიპიურ ფედერატიულ მართველობაზე. იქ შემავალი 48 სახელმწიფო ინარჩუნებს თავის ავტონომიას ბიუჯეტით, კანონებით და მთავრობით. ხოლო ყველა ადგილობრივ მთავრობათა ზევით სდგას უზენაესი ფედერატიული მთავრობა, ფედერატიული პაკტით და განავებს როგორც საგარეო საქმეებს უკროეთთან, ისევე ყველა 48 ერთეულთა საერთო საქმეს შიგნით. უზენაეს ფედერატიულ მთავრობას აქვს საეგზეკუციო, სალეგისლაციო და საიურისდიქციო ძალაუფლება.

ეკზეკუტივის ძალაუფლება ეკუთვნის შ. შტატების პრეზიდენტს, რომელსაც ირჩევენ 4 წლით. მასთან ერთად ირჩევენ ვიცე პრეზიდენტს, რომელიც შეცვლის პრეზიდენტს რაიმე საჭიროების დროს. პარლამენტის წარმომადგენლობას ირჩევენ ყოვლ 2 წელს და სენატისას ყოველ 6 წელს. შტატის თვითეული სახელმწიფო კი ორ სენატორს, რომელთაგან სენატი შესდგება. სენატს აქვს მინიჭებული პარლამენტზედ მეტი უფლება-პრიმატობა, (კონსეი დე გუვერნემენ). იმათი დასტურით ნიშნავს პრეზიდენტი ელჩებს, მინისტრებს და სახელმწიფო მოხელეთ. სენატორთა ორი მესამედის დასტურით შედის ძალაში ხელშეკრულება - ტრაქტატები, რომლის ინიციატივა ეკუთვნის პრეზიდენტს. საიურისდიქციო ინსტანცია, უზენაესი სასამართლოა ვაშინგტონში. ის შესდგება 9 მოსამართლისაგან, რომლებიც ინიშნებიან სიკვდილამდე. შერჩეული პრეზიდენტისა და დაბალ სასამართლოთა კონგრესის მიერ, ის სწავლებს ფედერაციაში ერთისა ან მეტი შტატის შორის ატეხილ სადაო საკითხებს. იგივე არჩევს ერთის ან მეტი შტატის შორის კონფლიქტებს უზენაეს ფედერატიულ ხელისუფლებასთან ერთად. ბოლოს, შ. შტატების მთავრობა შექმნილია ძალაუფლების აბსოლუტურ სეპარაციის პრინციპზე და არაა პარლამენტარული. მაგალითად მინისტრები პოლიტიკუ-


რად პასუხისმგებელი არიან არა პარლმენტის, არამედ პრეზიდენტის წინაშე, რომელსაც ყოველუამს უფლება აქვს გადააყენოს ისინი.

მინისტრი არ უნდა იყვეს არც პარლემენტის წევრი და არც უფლება აქვს მის წინაშე წარსდგეს და სიტყვა წარმოსთქვას. პირიქით, პრეზიდენტს უფლება აქვს ვეტო დასდოს ამა თუ იმ კანონს პარლამენტისას და თუ ის ხელმეორედ იქმნა დადასტურებული ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით, მაშინ არის პრეზიდენტი მხოლოდ იძულებული კანონი მიიღოს და გაატაროს.

ასეთია თეორიული გარემო ჩ.ა.შ. შტატების ფედერატიული მართველობისა. ხოლო პრაქტიკაში სალეგისლაციო ინსტანციები, თავიანთი პერმანენტული კომიტეტის საშუალებით, რომელსაც უფლება აქვს მინისტრს მოუწოდოს და მიიღოს ზომები — კონტროლს უწევენ ეკზეკუტივს.

ქართველი და ყველა კავკასიელი მკითხველი ადვილად შენიშნავს, რომ თითეული ჩვენთაგანი მიიღოს სუვერენობისაკენ და ამ ნიადაგზედ ექნება ადგილი კავკასიის კონფედერაციას.

სევერიანე ურუშაძე




1924 წლის ჩხარის აჯანცება

(მოგონება)

დაბა ჩხარი არის დაშორებული ქ. ზესტაფონიდან 25 კილომეტრის მანძილზე. მცხოვრებლების უმრავლესობა არიან ; ქართველი სომხები და თითქმის ყველანი კომუნისტები. ვეცდები მკითხველს დაახლოვებით და მდგომარეობის მიხედვით გავაცნო იქ მომხდარი ბრძოლების შინაარსი.

როგორც იყო ეს ნაკარნახევი პარიზიდან კაცების გაგზავნით, ყოფილი მენშევიკური მთავრობის წევრებიდან, ყოველი ქართველი უნდა გამოსულიყო საბრძოლველად იმ კუთხეში, სადაც ის სცხოვრობდა. ჩვენც ასე მოვიქეცით და გამოვედით. დასაწყისში შევგროვდით ერთ დანიშნულ ადგილზე, სადაც მენშევიკებიც მოვიდნენ. იქ შეიქნა ლაპარაკი იმაზე, ვითომ ჩვენი ძალა საკმარისი არ იყო ჩხარის ასაღებად და იმ ლამეს ამაზე დავიშალენით. მეორე დღეს გადავწყვიტეთ რამდენიმე კაცმა, მენშევიკების გაურევლათ დაგვეწყო აჯანყება სოფლებიდან. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ძალას შევიძენდით, იარაღს ვიშოვიდით და შემდეგ უფრო ადვილად ავიღებდით ჩხარს. მართვიშოვიდით და შემდეგ უფრო ადვილად ავიღებდით ჩხარს. მართლაც გავყევით სოფლებს, გზა და გზა დავატყვევეთ რამდენიმე კომუნისტი, ავიღეთ თერჯოლის თემის აღმასკომი, იქაც მთელი აღმასკომის შემადგენლობა დავატყვევეთ და უდანაშაულოთ დატუსაღე-




ბული ქართველები გამოუშვით. მათ თითქმის ყველამ ჩვენთან ბული თად იარაღს მოჰკიდეს ხელი და იმ დღესვე, ნაშუადლევს, გაუდექით ჩხარისაკენ. ვიყავით 15 კაცამდე, ტყვეებიც თან წავიყვანეთ.

ვინაიდან არც ერთი ოფიციერი არ გვყავდა, გადავწყვიტეთ ერთი სამხედრო პირის სახლში გავლა და თხოვნა, რომ ჩვენი ხელმძღვანელობა ეკისრა. ამ უკანასკნელმაც უარი ვერ გვითხრა და გამოგვყვა.

დაგვაწყო, დაგვალაგა, ამასობაში კიდევაც დალამდა და წავედით ჩხარისაკენ, ქ. ქუთაისის მიმართულებით, ვითომც ქუთაისისკენ მივდიოდით. ჩხარს რომ მიუახლოვდით სამ ნაწილად გავიყარენით, რომ სხვა და სხვა გზით შევსულიყავით შიგ. ერთ ნაწილს შორი მანძილი ჰქონდა მოსავლელი და ამ უკანასკნელს უნდა მოეცა სიგნალი დანარჩენ ორ ნაწილისათვის. ასედაც მოხდა. გამთენის ხანს, წინწაწევის დროს, შეგვხვდა ცხენოსანი და ქვეითი კომუნისტების რაზმი. ატყდა სროლა. იმავე დროს ორთავე ჩვენი ნაწილებიდანაც შემოგვესმა სროლა და ამგვარად სამივე ჩვენი ნაწილი ჩხარის შუა გულში შევერთდით. დავატყვევეთ დიდძალი კომუნისტები, ჩვენები დატუსალბულები გამოუშვით და სრულიად უმარცხოთ ავილეთ ჩხარი.

იმ დღესვე ხალხი ყველა კუთხეებიდან გახარებული და ალფროვანებული მოდიოდა ჩვენს დასახმარებლად. ასე რომ დიდი შეიარაღებული ძალაშევქენით. სამი დღის იქ ყოფნის შემდეგ, ერთ სალამოს, სხვა და სხვა მიზეზების გამო, თითქმის მთელი ჩვენი მებრძოლი რაზმი მოიხსნა ჩხარიდან და დაბინავდა ოთხი კილომეტრის მანძილზე, მდინარე ძირულის მიდამოებში. სწორედ იმ ღამესვე მოვიდა აგრეთვე კომუნისტების ჯარი, როგორც ქართველები ისე სამსახურისაგან შემდგარი და დაბინავდა დაბა ჩხარის თავზე, რომელსაც ჰქვიან ოქთონის მთა.

მეორე დილით ჩვენგან იქნა გაგზავნილი რამდენიმე კაცი მზვერავად იმ ადგილზე, საღაც ბოლშევიკების ჯარი იყო დაბინავებული. მტერმა შეამჩნია ჩვენი მზვერავები, აუტეხა მაშინვე სროლა თობებით, ტყვია მფრქვევებით და ათიოდე ცხენოსანი ჯარის კაცი დაადევნა. ჩვენც იმ წუთშივე გავიშალეთ და დავიწყეთ წინსვლა კანტი-კუნტათ, თოფის სროლით, ვინაიდან პატრონები ძალიან ცოტა გვქონდა. ცოტა ნნის შემდეგ ჩვენი გაგზავნილი მზვერავები ჩვენ შემოგვიერთდა და ორი ცხენოსანი კომუნისტიც ჩავიგდეთ ტყვედ ხელში, ერთი ქართველი და მეორე ოსი, ქ. ჭიათურის კომუნისტები. მტერი განაგრძობდა განუწყვეტლივ სროლას როგორც თოფებიდან ისე ტყვიამფრქვევებიდან, ადგილიდან დაუძვრელად. ჩვენ ნელ ნელა ხელალებულად მივიწევდით წინოქონის მთის მიმართულებით. მთელი დღის ბრძოლის შემდეგ, სალამოს ხანს, ჩვენი რაზმის ნაწილმა, დიდათ სახითათო ადგილის გადარბენის და ბრძოლის შემდეგ მოახერხა მტრის ზურგში მოქცევა და დიდი იერიშის მიტანა მტერზე. სწორედ ამ დროს იქმნა მოკლული მრავალი რუსის ჯარის კაცი. შუაში მომწყვდეული მტერი დაიბნა და გაიქცა. მთელი ოქონის მთა ჩვენს ხელში დარჩა. მტერს დავატოვებინეთ ტყვიი.



მფრქვეველები, დიდძალი თოფები და ათასობით პატრონები, აგრეთვე და დავიჭირეთ ტყვეები, როგორც ქართვლები ისე რუსები. მტერი არც იმას ერიდებოდა, რომ ჩვენთვის ზარბაზნები და შინა რკინის გზის ლიან-დაგიდან (ეს იყო ჩვენს შესაშინებლად). მტერი იყო როგორც ჯარის კაცების რიცხვით, ისე იარაღის რაოდენობით და ხარისხით ათჯერ მეტი ვიდრე ჩვენ. (თითქმის მთელი შორაპნის მაზრის კომუნისტები და დიდძალი რუსის ჯარის კაცები). მიუხედავად ამისა მტერს დიდი სასირცხო მარცხი და ზიანი მივაყენეთ. ჩვენ ამ ბრძოლაში დავკარგეთ ორი კაცი; სოფელ ჩხარიდან — არაბიძე და სოფელ ტელეფიდან აბაშიძე, აგრეთვე რამდენიმე კაცი იქმნა მსუბუქად დაჭრილი.

(1927 წელს საქართველოში საგანგებო კაცით გაგზავნილ წერილით, უორდანია - რამიშვილის „დაფასება და მადლობა“ ამ პატრიოტებზე ამბობდა „არ გააჭაპანოთო!“

აი მკითხველნო, არა მენშევიკებო, დაინახეთ ერთხელ და სამუდამოთ, რანაირის მადლობით უმასპინძლდებოდა მუდამ უორდანიას მთავრობა და თუ დასცალდა, მომავალშიდაც ასე გაუმასპინძლდება ნამდვილ მებრძოლ პატრიოტებს.)

მეორე დილით, გამთენის ხანს, შემოგვესმა სროლის ხმა ქ. ზესტაფონიდან. ჩვენ ვიფიქრეთ, ჩვენებმა ზესტაფონს შეუტიესოთქო. შუადლისას გავიგეთ, რომ ამ სროლით ბოლშევიკებს სამ საბარგო ვაგონშიამწყვდეული, ქ. ჭიათურიდან ჩამოყვანილი აჯანყებულება დაენვრობათ. ვინაიდან საქართველოს ყველა კუთხეებში დამარცხდა აჯანყება, ჩვენც გადავწყვიტეთ დავშლილიყავით ოროლ-სამსამად. ჩვენ ჩვენი თავი შეგვენახა, მდგომარეობისათვის თვალ-ყური გვედეცნებანა და ერთი მეორესთან კავშირი გვქონოდა.

რამდენიმე კვირის შემდეგ სოფელ თერჯოლის თემის ალმასკომში ჩამოვიდა ტფილისიდან ბოლშევიკების რწმუნებული და რუსის ჯარის კაცები. აჯანყებულების სახლებში აგზავნიდენ ჯარის კაცებს, ართმევდენ ორთეხს, ოთხთეხს და ქცეობით უჩეხდნენ მოსულ სიმიდს რუსის ჯარის ცხენებისათვის.

ბოლშევიკების რწმუნებულმა მოიწვია საჯარო კრება თერჯოლის ალმასკომში, ამოიკითხა სახელი და გვარი ვინც მონაწილეობას ღებულობდა ჩხარის აჯანყებაში და განაცხადა: რომელი აჯანყებულიც არ შეგვირიგდება მთელ მის ოჯახის წევრებს დავატუსალებთ და მის ქონებას კონფისკაციას უზამთო. ამის შემდეგ ჩვენც იძულებული გავხდით ყველანი შევრიგებოდით ჩვენ ჩვენი იარაღის მიტანით. მთელი რიცხვი აჯანყებულებისა იქმნა დამწყვდეული ზესტაფონის ციხეში, საიდგანაც ნაწილი გაგზავნილ იქმნა ტფილისის მეტების ციხეში. რამდენიმე თვის შემდეგ ბოლშევიკურმა მთავრობამ გამოუშვა მანიფესტი და ყველანი გაანთავისუთლა.

დასკვნა: რა იმედი და შანსები იყო 1924 წლის აჯანყების გამარჯვებისა? ჩვენ ჩვენის მხრით ვეყრდნობოდით პარიზიდან ჩამოტანილ ცნობებს, ვითომ უცხოეთში მყოფი ქართველი სამხედრო პირები ლენ.

კვინიტაძეს ხელმძღვანელობით საზღვარზე არიან მოსული და რომ როგორც საფრანგეთის, ისე ინგლისის ჯარის ნაწილი უორდანიას მთავრობის განკარგულებაში არის ჩვენს დასახმარებლადო. რაც შეეხება უცხოეთიდან მოსულ ხმების მნიშვნელობას, მათ შესახებ ორი შეხედულება არსებობს: პირველი — თუ საზღვარგარეთ იმას ფიქრობდენ, რომ საქართველო საკუთარი ძალით დაამარცხებდა რუსეთის წითელ ჯარს, ამ შემთხვევაში ისინი ყოფილან უვიცნი და მათ გონებრივი წონასწორობა დარღვეული ჰქონიათ. ვინაიდან 1921 წელს, ეს მთავრობა იყო თავის ქვეყანაში, ჰყავდა რეგულიარული ჯარი, ჰყავდა „სახელოვანი გვარდია“, მთელი ქართველი ხალხი თავის განკარგულებაში და მაშინაც ვერაფერი დააკლო მტერს. მეორე შეხედულება: ხოლო თუ ეს აჯანყება მათ მოაწყვეს უცხოეთში თავისი პრესტიუს ასაწევად და სუბსიდიების მისაღბად, ამ შემთხვევაში ისინი ყოფილან მოლალატენი

1924 წლის აჯანყების დროს დაქცეული სისხლი ჯერ კიდევ არ გამშრალა. მიუხედავად ყოველივე ამისა, უცხოეთში გამოხიზნული ყოფილი მთავრობა მხიარულად და უდარდლად პარიზში სავარძლებში ბრძანდება და ინაწილბს მომავალ საქართველოს თანამდებობებს და პორტფელებს. რა თქმა უნდა, როგორც ყოველთივს, სასწაულის იმედით და სხვისი ბრძოლის მისაკუთრებით.

მე ვიმედოვნებ, რომ ქართველი ხალხი, ბოლშევიკური ბარბაროსული რეუიმიდან თავის დაღწევის შემდეგ, სათანადო პასუხს მოსთხოვს მათ, ვინც ამ აჯანყებისადმი ხალხს მოუწოდა და ათასობით საუკეთესო ქართველები და ოჯახები უმიზნოთ ფიზიკურად გაანადგურა.

რას ფიქრობენ ის ყალბი ნაციონალისტები (შემძვრალნი: სენატორები, დეპუტატები, ამ ემიგრაციაში გამოჩეკილი ლიდერ-კაცუნები, სიტყვითი პატრიოტები, მეფეზე მეტი მეფეები, ჰიტლერზე უდიდესი „ფიურერები“ და მუსოლინზე დიდი ფაშისტები) რომლებიც დღეს მენშევიკების სამსახურში, მათ ვექილებათ არიან და პირად ამბიციების გულისთვის საქართველოს დამლუპველ მენშევიკების მთავრობის წიქვილზე წყალს ასხამენ, ზურგს უმაგრდენ მათ და გადახდილ ეროვნული ბრძოლების და იქ დახოცილების საფლავების ექსპლოატაციას ეწევიან?!

დ. ახვლედიანი



გატონ ალ. ასათიანე ლია გარათი

ბატონო ალექსანდრე,

წავიკითხე თქვნი უურნალი „სამშობლო“ს უკანასკნელ ნომერში ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის „საიუბილეიო“ კონფერენციის ანგარიში. ამ „ანგარიშმა“ დიდ განცვითრებები ჩამავო; ვცადე პირადი განცდით მომენტებინა ეს განცვითრება, მაგრამ მას მეტი საზოგადოებრივი ძალა აქვს და მოითხოვს საზოგადოთ გამოტანას.

გინდოდა აგრეთვე კერძო წერილის გზით მომეწოდებინა თქვენთვის ჩემი პროტესტი, მაგრამ გადავითიქრე და მოგახსენებთ მას საჭარბოთ რატომ? იმიტომ რომ, დაე, საჯაროთ დაედოს ფასი თქვენს სიტყვასა და საქმეს. თქვენ ბ-ნო ალექსანდრე გაქვთ პრეტენზია და მოგაქვთ თვი საზოგადო და პოლიტიკურ „გამოცდილ“ მოღვაწეთ და უნდა მოგეხსენებოდეთ ელემენტარული მოვლენა და თვისება საზოგადოებრივობისა. სახელდობრ ისიც, რომ კონფერენციათა თუ კონგრესთა ძალა ან საიუბილეო საერთო სხდომათა პროტოკოლები და ანგარიში სარკე და სრული სახიერება - ნეგატივი გახლავთ იმისა, რაც ამ სხდომაზე თუ კონფერენციებზე ითქმის და ხდება.

ნათქვამის შეცვლა - შებრუნება, მომხდარის შეცლვა და ან მისი განზრახ შებრუნება, აზრის, ფრაზის მიწერა მონაწილეთათვის, რომელ-ნიც მათ არ უთქვამთ, არამც თუ დაუშვებელი და უპატიებელი შეც-დომა გახლავთ ამ ელემენტარული კანონის ძალით, არამედ ახასია-თებს და ამუღავნებს მათ განზრახვებს და საზოგადოებრივ მორალურ ავლადიდებას, ვინც ამას სჩადის. უნდა მოგახსენოთ, არავითარი მოსა-ზრება და გავლენა ვერ შემაცვლევინებს ჩემი ნათქვამის და სიტყვის აზრს და არც ამაღებინებს მათ უკან. მით უმეტეს ვერ ამართმევს უფ-ლებას ჩემი სახელით არ ითქვას ან დაიწაროს სიტყვა და აზრი, რომე-ლიც მე არ მითქვამს და მე არ მეკუთვნის.

თქვენ ბატონო ალექსანდრე, არამც თუ შესცვალეთ და დაამახი-ნჯეთ ჩემი სიტყვა ზემოხსენებულ კონფერენციაზე, არამედ წმინდა სიცრუე შეიტანეთ შიგ.

სიცრუე პირველი — ჩემ სიტყვაში უურნალ „კავკაზის“ შესახებ შემდეგი იყო ნათქვამი: „მე ვაცხადებ პროტესტს რომ ბამატი ერევა ჩვენს წმინდა ქართულ ურთიერთობაში, ყველას და ყველაფერს აქვს თავისი საზღვარი, რომლის იქით მეზობლის კერაში არ უნდა ტოპავ-დეს“.

ამ ნიადაგზე და შეხედულობაზე აგებულ რეზოლუციის მიღებას ურჩევდი კრებას. ამის მაგიერ რას ვკითხულობ თქვენ „პროტოკოლ-ში“? ვკითხულობ იმას, რაც არამც თუ არ მითქვამს, არამედ აზრათაც არ მომსვლია. ასე, კრინტი არ დამიძრავს საქართველოს ტერიტორიის შესახებ. არ მომსვლია ეს აზრათ, რადგან პირველი: რამდენადაც ვიც-ნობდი „კავკაზს“ (შეიძლება ყველა ნომრებიც არ მქონდა წაკითხუ-ლი) ეს საკითხი მაშინ მაინც დასმული არ იყო;

მეორეთ: და უმთავრესად კი ემიგრაციაში ასეთ საკითხეზე „და-ვა“ უაზრო „ბლეფათ“ მიმაჩნია, რომელიც გვაშორებს და გვიმძიმებს მუდამ სამშობლოს უშუალო მოვალეობას — ეს უდიდესი საკითხი არა ემიგრაციის საქმეა.

სიცრუე მეორე: თქვენ მომაწერეთ კიდევ შემდეგი: „ჩვენი დამო-უკიდებლობის დროს მავნე იყო ჩვენთვის ბამატი, უფრო მავნეა იგი ჩვენთვის აქ.“ არ მითქვამს ეს და არც მქონდა საბუთი ამის თქმისა იმ მოსაზრებით მაინც, რომ ნაკლებათ მაინტერესებდა რას აკეთებდა

იგი (ბამატი) ჩვენში. ვიცოდი მხოლოდ, რომ მისი ყოფნა საქართველოში მენშევიკურ მინისტრებთან ურთიერთობაში ოფიციალური წარმომადგენლობის ხაზს „შინაურობისაკენ“ კარგად მაგრად ხრიდა. მით უმეტეს იმ საქმიანობას და ურთიერთობას, რომლის წარმოების პატივიც მქონდა ჩრდილოეთ კავკასიაში იქაურ გავლენიან პირებთან და წრეებთან, როგორც საქართველოდან საგანგებო დავალებათა ისე პირადი კავშირის ნიაღაგზე. ბამატი არა მხედებოდა და არ ერეოდა. უნდა ითქვას, თუ მთის მაშინდელი ბედის მჭედელ პიროვნებათა შორის ბამატის მოქმედება საქართველოში რაიმე საყვედურს და უკმაყოფილებას იწვევდა, ეს მიეწერებოდა მთიულთა აზრით სწორედ მის სიახლოვეს მენშევიკებთან, რომელთა „ინტერნაციონალური“ და რუსულ რევოლუციონური პოლიტიკა იყო მოკლებული ტრადიციას და ქართულ ეროვნულ სახეს. საბოლოოთ ხეირს არ მოიტანდა არც ჩვენთვის და არც მათთვის! ამ ნიაღაგზე შეიძლება, მე მეტი მეთქმის ბამატის მიმართ, მაგრამ ეს ჩემი საქმეა და თქმის ადგლი და დროც მესმის... მოვახერხებ კიდეც როდესაც ეს ჩვენთვის და მთისთვისაც საჭირო და შესაფერი იქნება.

სიცრუე მესამე: თქვენ მომაწერეთ ფრაზა: „ბამატის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ხდებოდეს არა საუურნალო წერილებით, არამედ საჭიროა მის წინააღმდეგ სერიოზული კომპანია“. არც მთქმელი ვარ და არც აზრათ მაქვს ამისთანა რამ იმ უბრალო მოსაზრებით, რომ საჭართველოს ბედის გადაწყვეტის და მოწყობის საჭმეში ბამატისთანა კომპანიები წონა შეფიცულ სართვათ მიმაჩნია. თქვენი „ფრონტის“ ჩვეუება გახდა შიში საკუთარი აჩრდილის წინაშე. მაგრამ არც ქართველის თვისებასთან და არც ქართულ საქმესთან ამ მოვლენას საერთო არაფერი აქვს!

ასე მომაწერეთ ბატონი ალექსანდრე, ის რაც არ მითქვამს, შეიტანეთ ჩემ სიტყვაში, ის რაც ამ სიტყვაში არ ყოფილა და სრულებით გამოუშვით ის, რაც შეადგენდა ჩემი სიტყვის უმთავრეს შინაარსს. ეს შინაარსი თქვენ ეგრე წოდებულ „საერთო ფრონტს“ ეხებოდა. თქვენს „ანგარიშში“, რომელსაც კონფერენციის პროტოკოლი ეწოდება, კრინტი არ არის დაძრული ამის შესახებ. რა მოსაზრებით? ალბათ იმ მოსაზრებით, რომ თქვენთვის საჭირო ახალი სიცრუე შეგექმნათ და ჰქონით კიდეც — თქვენ უურნალში გვაუწყებთ, რომ კრებაზე საკითხი „ფრონტისადმი“ დამოკიდებულებისა მსჯელობის საგნად არა ყოფილა! მაშასადამე არ ჰქონია ადგილი არც ჩემ სიტყვას და არც ჩვენ ახალგაზდათა ერთსულოვან, მწარე კრიტიკით და მხურვალე აღელვებით სავსე დაგმობას სწორეთ თქვენი „ფრონტის“ დამლუპველი პოლიტიკისა და ულირს მახინაციების! დაჩქმალეთ და დამალეთ „პრატაკოლში“ ეს მოვლენა, რადგან გჭირიათ იგი შინა და გარეშე აღა - ხაზეინებისათვის. შედეგი მოგეხსენებათ, რადგან უნდა ხედავდეთ მას. პარიზის კონფერენციის ხანას თქვნ აქ სოშოში ოცდა ხუთ კაცამდე, უმთავრესად ახალგაზრდობა მომხრე გყავდათ. დღეს კი, როგორც უკანა-



სკნელად აქ მობრძანებისას დარწმუნდით, არც ერთი მომხრე იყო შეგრჩა. ასეა ბატონო ალექსანდრე! მახვილია და მგრძნობი თვალი და უური სამშობლოს სიყვარულით აღზნებულ ახალგაზრდობისა.

თავის დავიწყებით და სამსხვერპლო გაწირვით მიყვება იგი კაცს სამშობლოს საკეთილდღეოთ, მაგრამ ზიზღით აბრუნებს იგი ზურგს მათ, ვისაც სამშობლო პირად ვნებათა, მახინაციათა განსახორციელებელ შირმად აქვთ აყუდებული. უორდანია - ასათიანთა ინტერესების დასაცავად, იქნებ მეტი არ იყოს გავიხსენოთ ჩვენი (ჩემი და თქვენი) დიალოგი თქვენ აქ, სოშოში უკანასკნელათ ყოფნის დროს მომხდარი. მე მოგახსენეთ: „თქვენ და უორდანიაც რომ ერთმანეთს ატყუებთ. წარმოიდგინეთ, რომ მოხდა ულვოთო სასწაული და საქართველოში თქვენ ჩაიგდეთ ძალა, ხომ არ დაინდობთ უორდანიას იმის შემდეგ, რაც „ზურგს უკან“ ჩემთან და ამ ახალგაზდებთან გაქვთ ნათქვამი და ან თუ იმავე ბედის წყევლით უორდანიას ელირსა კვლავ.... თქვენ ალარ დამამთავრებინეთ წინადადება და დაამთავრეთ სიტყვით: „ის მე ჩამომახრიობსო!“

გესმით ბატონო ალექსანდრე, თუ რა სიყალბეზე, რა მყრალ ბოროტებაზე, რა საშინელ განზრახვაზე არის აშენებული ეგ თქვენი ფრონტი? გესმით, რა დაუკეცავი და ულევი მანძილი აშორებს მას იმ მაღლსა, სიყვარულს, ვაჟკაცურ სითბოს, ძმობათ შედგომას, რომელიც უნდა ახასიათებდეს სამშობლოსათვის ნაწარმოებ ბრძოლას და რომლითაც უნდა სუნთქვავდეს ყველა მებრძოლი, დიდი თუ პატარა, ბელადი თუ საშუალო ჯარის კაცი, მძღოლი თუ მიმყოლი!

ვერ გრძნობთ როგორი ატმოსფერო ლეშისა და მძორისა შეიქმნა თქვენი და უორდანიას „ტაკტიკით“ და „ფრონტით“? აქ სიკვდილი, მყრალი, მურტალი სიკვდილია და აქედან სიცოცხლე ალარ აღსდგება!

პოლიტიკურათ სხეულ შემხმარი და სულამოსულ ლანდებათლა მოსახლეობა და კვლავ ბატონობა აღარგიწერიათ! და აი რატომ:

დიდი მენშევიკებისაგან ხშირად მსმენია: „კი ჩვენი ბატონობის დროს ბევრი შეცდომა დაუშვითო!“ ქრთა სახელმწიფოებრივ ბედს ამის შესახებ დიდი ხანია აქვს პასუხი ერთი გამოჩენილი, უკვდავი სახელმწიფო მოღვაწის ბაგით ნათქვამი: „მას ვინც სახელმწიფო საჭეს ხელში დაიჭირს, არ ეპატიება შეცდომის დაშვება, რადგან აქ შეცდომა შეცდომა კი არ არის, არამედ დიდი საბედისტერო უპატიებელი დანაშაული!“

ყოველი სისხლის წვეთი, საქართველოს განთავისუფლებისათვის დალვრილი ამ დანაშაულის საბრალმდებლო ოქმსა სწერს. თუ ბატონი ალექსანდრე გნებავთ გახდეთ მოპასუხე ამ საბრალმდებლო ოქმის წინაშე, რათა ჩვენს ემიგრანტულ სიმწარეში მაძლარი ცხოვოვრება გქონდეთ — იარეთ მაგ გზით — განაგრძეთ თქვენს „ფრონტში“ ყოფნა. ჩვენ ახალგაზდობას კი შესძლებია პირის შებრუნებაც და გზის დიმიტრი ჭიაბრიშვილი.

ი უ ბ ი ლ ე

ანუ პოემა ერთ რითმიანი და ემიგრანტული, პროზითი შესავლით.

“ამხანაგებმა და აგრეთვე სხვა პარტიების წარმომადგენელ მასთან (!) თანამშრომ. მლებმა მოისურვეს ბ. ნ. უორდანიას 70 წლის იუბილეს გადახდა, მაგრამ რადგან იუბილიარმა კათეგორიულად უარი სთქვა, საკითხი იუბილეს შესახებ მოიხსნა. მიუხედავად ამისა, მაინც, სხვა და სხვა ორგანოების წარმომადგენელნი — მთავრობის, პოლიტიკურ ცენტრის, სოც. დემ. ბიუროსი, ადგილობრივი სოც. დემ. ორგან. აზერბაიჯანის და უკრაინის, მივიღნენ და პირად მიულოცეს. წერილობითი მილოცვები მიიღო აგრეთვე საზღვარ გარეთის ყველა სოც. დემ. ორგანიზაციებისაგან: სოჭო, პრაღა, თეირანი, ბერლინის მეგობართა და სხვ.“ „ბრძოლის ხმა“ №78.

1

გმირი ვერ იყო ნოეი,
ქალაქ ვერ დაითარაო,
შუა ღამე რომ შეიქნა
ადგა და გაიპარაო,
თან მინისტრები წაასხა,
სულ მენშევიკის გვარაო,
წაიღო დიდი სურსათი,
ხატი, ჯვარი და ფარაო,
ქართლი რუსს მისცა, ბათუმშიც
თათარი შეაპარაო,
სთქვა: ერეკლესი რა მცხია,
არა ვარ მისი დარაო,
გასწირა საქართველოი,
ხომალდმაც ცეცხლი ჰყარაო,
ჩაჯდა და ზღვაში გავიდა
მეტი არ ჰქონდა ჩარაო!

2

ბინა დაიდო ფრანგისტანს,
ეს არის ჩემი კარაო,
დემოკრატია ქებული
სწორედ აქ არის მყარაო,

ჩავდგები სადმე ფრონტშია,
ეგება მომცენ მხარაო!
მუსოლინს მუშტი ულერა,
მისი არ მინდა არაო,
ჰიტლერს აგინა, ფრანკოსაც
მუქარა დაუბარაო,
მიკადო ძალზედ შერისხა —
ყვითელი საფრთხე კმარაო!
მაგრამ საშველი არ იქნა,
არავინ მოგვეხმარაო,
ლიგაში რუსი შევიდა,
ის დარჩა ლიგის გარაო,
ლეგაციისაც, სულნათსა,
გამოუკეტეს კარაო,
დაჯდა და ბევრი იტირა,
ცხარე ცრემლები ლვარაო!

3

ურატაძე ჰყავს ვაზირად,
კაცი რამ თითის - ტარაო,
უტრიალებდა ენასა:
ჰქენ იუბილე ჩემარაო,
ოცი წელია მთავრობა



კანონიერი ხარაო!
ეგება შენმა სახელმაც
გაიღოს ცოტა ჩხარაო,
თორემ ილიას ზეიმმა
ძალიან ჩაგვამწარაო,
ზედაც შოთასი დაერთო,
შენი კი ისმის არაო...
მერე სახლშიაც წაგვასხი
შენი ერთგული ფარაო,
წინ ვინ დაგიდგეს, სულნათო,
ბედთან ხარ წილ-ნაყარაო!

4

მაგრამ არა ქნა სულნათმა,
ეგ ხომ ერთხელაც კმარაო,
ვის გაუგია ზედი - ზედ
ზეიმი წარა-მარაო,
კათეგორიულ უარზედ
სამიღლემჩიოთ ვარაო!
მოდი ეს საქმე ასე ვქნათ,
განგაში გვინდა არაო,
პატარა წიგნი მომწერეთ,
გაზეთშიც იყოს პწკარაო,
მოვიდეს კვიტაიშვილი,
თან. მოჰყვეს მენალარაო,
გუნდი და გუნდი ერთგულთა —
ასათიანის დარაო,
სოშომ მიგზავნოს დეპეშა,

(ქნეს მათ მიტინგი მდარაო!)
პრალამ მოლოცვა გადმომცეს,
ბერლინმაც... (ლადომ არაო!)
თუ თეირანმაც ისურვოს —
აბა, მეტი რა ჩარაო!
შესძარით აზერბეიჯან,
სომხეთმაც მითხრას „წარაო“,
უკრაინიდან მომესმას
სიმღერა, როგორც ზარაო,
ბიურომ კრება დანიშნოს,
ცენტრმა გაიღოს ფარაო,
შენმა მზემ, მეტი არ მინდა,
ჩემთვის ესეცა კმარაო!
თორემ სადღა ვარ მთავრობა,
ჩემო ხმალო და ფარაო,
ეგ საქმე სუღში წავაგე,
გაუქმებული ვარაო,
ქონებაც ფონდში წაილეს
(ერისა — ჩემი არაო!)
ჩემი ნულარ გაქვთ იმედი,
თავზედ მიბრუნავს ჯარაო,
ველარ წავასხა ვერსადა
ჩემი ერთგული ფარაო,
წამოსვლა ჩქარი მცოდნია,
შინ დაბრუნება არაო!

ფატმანის ქაჯი



წერილი რედაქციის მიმართ

ლრმად პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ თქვენი პატივცემული უურნალი „კავკასია“ს მომავალ ნომერში (ქართულ ენაზე) შემდეგი განცხადება:

ბატონი გრიგოლ დიასამიძე ეხება თავის წერილში („კავკასია“ ნომ. 3—10, მარტი, 1938, გვ. 24) ბატონ შალვა ქარუმიძეს მეთაურობით 1933 წ. 10 ივნისს ბერლინში დაარსებულ „ქართველ ნაციონალისტთა ორგანიზაციას“ და დამაარსებელთა რიცხვში ჩემ სახელსაც იხსენიებს.

შენიშვნა: ჩვენ დიდის თავაზითა ვბეჭდავთ ჩვენი მეცნიერი თანამემამულის ბ-ნ ალექსანდრე ნიკურაძის ამ წირილს და ვფიქრობთ, მი-

ამითი ვაცხადებ, რომ მე არც ამ ორგანიზაციის დამაარსებელთა რიცხვში ვყოფილვარ, არც შემდეგ მის წევრად და არავითარი დამოკიდებულება მაგ საზოგადოებასთან არა მქონია.

ალექსანდრე ნიკურაძე



ჩართული პროცესი ბრიუსელში

გასული თვის 18-ს, ბრიუსელის გამასწორებელ ტრიბუნალის მე-20 კამერაში, ტრიბუნალის ვიცე-პრეზიდენტის ვან-დენ ბერგჰოს თავმჯდომარეობით გაირჩა ყბად-ალებულ „სირდარის“ ი. ცახურიას საჩივარი შეფიცულ ალ. სულხანიშვილზედ და ს. ყრუაშვილზედ. შეფიცულებს იცავდნენ მეტრები ემილ ჟანსონი და ბრაფფორდი. მომჩივანის მხრით გამოვიდა მეტრი პასკიერი. სასამართლოს დარბაზი სავსე იყო ბრიუსელის ქერთველებით.

ცაგურიას თავი ეჭირა როგორც ცირკის მასხარას. თავისი სიტყვა დაიწყო წინადაღებით: „ნაპოლეონმა სთქვა!“ ხოლო შემდეგ ხან ტიროდა, ხან ტრაბახობდა, ხან ტყუოდა, ხან სასამართლოს უჩვენებდა თავის ჭრილობებს: ფერდში, გულში, თეძოში და სხვაგან. ის ამტკიცებდა, რომ ბ. ბ. სულხანიშვილი და ყრუაშვილი კომუნისტები არიან და ბრიუსელში ჩემს გასატაცებლად ჩამოვიდნენ. დარბაზში სიცილი გაისმა. ამის საპასუხოთ გონება დაბნეული ცაგურია თავმჯდომარეს დარბაზში დამსწრე ქართველობაზედ უთითებს და აცხადებს, რომ ყველა ესენი ჩემი მტრები არიან. ამაზედ უკვე თვით მოსამართლეები იცინიან და მომჩივანს საკუთარივე ვექილი სთხოვს, რომ ცოტა ფრთხილად ილაპარაკოს.


გენ. თავადი ალ. ერისთავი მოახსენებს სასამართლოს, რომ ბ. ბ. სულხანიშვილს და ყრუაშვილს იცნობს როგორც პატიოსან მუშა ხალხს და საქართველოს ეროვნული გმირის ჩოლოყაშვილის შეფიცულებს. აღსანიშნავია, რომ თავადი ერისთავი ისე იძლევა ჩვენებას, რომ ერთხელ არ უხსენებია ცაგურიას გვარი და ერთხელ არ მიუხედნია მისკენ.

ალ. სულხანიშვილი აცხადებს, რომ ის და ს. ყრუაშვილი ჩამოვიდნენ ბრიუსელში ცაგურიასთან მოსალაპარაკებლად, რათა ცაგურიას უკან წაელო ის შეურაწყოფა, რომელიც მან თავის უწმაწურ წიგნში ეროვნული გმირის ჩოლოყაშვილის ხსოვნას მიაყენა. ჩხუბი დაიწყო

სი კატეგორიული და მაშასადამე სამართლიანი დემანტი შეეხება გაზეთ „თეთრი გიორგის“ ძველ ცნობას, რომელზედაც ჩვენი პატივცემული თანამშრომელი ბ. გრიგოლ დიასამიძე სრულიად ბონა-ფიდე უთითებდა ჩვენი უურნალის წარსულ ნომერში დაბეჭდილ თავის წერილში.

მზგავსივე დემანტი მიიღო რედაქციამ აგრეთვე ბ. ბ. კაუხეჩიშვილისაგან, რომელიც, როგორც უფრო გვიან მოსული, ჩვენი უურნალის მხოლოდ მომავალ ნმერში დაიბეჭდება.

რედაქცია



თვითონ ცაგურიამ, რომელიც შეიარაღებული იყო კეტით და უკეთესობაზე ვერით. მას და ყრუაშვილს არავითარი იარალი არ ჰქონდათ. ავტომობილი რომელიც ქუჩაში იდგა და, რომლითაც ვითომც ცაგურია. უნდა გაეტაცნათ, არც იცის ვისი იყო.

ცაგურია ისევ განაგრძობს ტრაბახობას. ის აცხადებს, რომ თუ ეხ-ლა გაფრენილი ჩიტის გარტყმა აღარ შეუძლიან, ყოველ შემთხვევაში ოც ნაბიჯზედ კაცს არ დავაცდენო.

თავმჯდომარე ირონიით შენიშნავს, რომ მეორე შენი ტყვია ლულაში გაიჩინა, რადგან სროლის დროს ლელავდიო!...

ცაგურია ჯიბიდგან საბუთებს იღებს და სასამართლოს ურდგენს. პირველია პარიზის ქართული ოფისის მოწმობა, რომ ის საქართველოს აჯანყების მთავარი მეთაური იყო. სხვა ქალალდების შორის ის უდგენს სასამართლოს იმავე ოფისის მოწმობას, რომ ის ბრიუსელის ქართველ ემიგრანტების უფროსად არის დანიშნული. დამსწრე ქართველებს შორის ეს ქალალდი აღშფოთებას იწვევს. რადგან ყველა მისი საბუთები რუსულად არის დაწერილი, თავმჯდომარე კიდევ შენიშნავს მას ირონიით, რომ მას „დიდ პატრიოტს“ და „აჯანყების მთავარ მეთაურს“ არ შეშვენის რუსულად დაწერილი საბუთების ტარებაო.

ცაგურიას რუსულად დაწერილი საბუთები სხვაც ბევრი აღმოაჩნდა და როდესაც ერთი ასეთი საბუთი სასამართლოს თავმჯდომარემ ოფიციალურ თარჯიმანს, ბელგიის ჯარის ოფიცერს კაპიტან ი. ტატიშვილს გადასცა, მან უარი სთქვა მის გადათარგმნაზედ, როგორც ქართულის თარჯიმანმა და არა რუსულის.

საქმის გარჩევის დროს წაკითხული იყო რამდენიმე წერილი ცაგურიასადმი საფრანგეთიდგან მიწერილი. მათ შორის გრიშა ურატაძას წერილიც, რომელიც თავის გაბრიყვებულ მეგობარს, სხვათა შორის სწერს: შენ გადაამეტე და იმაზედ მეტი დასწერე შენს წიგნში რაც მე გითხარიო.

დასასრულ, ცაგურიას პატივი არ დასდეს მის მიერ გამოწვეულ მოწმეებმა და სამ ბელგიელ მოწმეთა შორის საქმის გარჩევაზედ არც ერთი არ გამოცხადდა.

ბრიუსელის სასამართლო და თვით პროკურორი ბ. ბონდიუ სავსებით დარწმუნდნენ, რომ ცაგურიას სახით საქმე ჰქონდათ ავზნე და გაფუჭებულ ადამიანთან, მაგრამ ამან მაინც ხელი არ შეუშალა მათ, რომ მეტის სასჯელით უფრო თვით მომჩივანი დაესაჯათ. სასამართლომ ცაგურიას მიუსაჯა ერთი თვის საპატიმრო და სამი ათას ხუთასი ფრანკი ჯარიმა — პირობით. მაგრამ თავმჯდომარემ მკაფიოთ და სამჯერ გაუმეორა „აჯანყებულ საქართველოს სირდარს“? რომ ერთი მის მიერ წამკდარი ნაბიჯიც კი საკმაო იქნება, რომ სასამართლოს განაჩენი სრულის სიმკაცრით იყოს სისრულეში მოყვანილიო.

ბ.ბ. სულხანიშვილს და ყრუაშვილს სასამართლომ მიუსაჯა რვა დღით დაპატიმრება — პირობით, რაიცა მათ უკვე ჰქონდათ წინასწარ მოხდილი.